ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 25 მაისი, 2017 №122 (7357) ფასი: 50 თეთრი

საკონსტიტუციო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ადოკატები დაუბრუნა

მიხეილ რამიშვილი: „საპატრიარქოს იურისტი ცილისწამებისთვის პასუხს აგებს“

გვ.2

25 მაისიდან
ოქროს ბიბლიოთეკა
თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
ნაწილი 2
ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



„ლაშა თორდიას „ოცნებაზე“ კომპრომატები აქვს“

გვ.2

თამაზ მეჭიაური: „ბიძინა ივანიშვილზე ზეწოლა ხორციელდება“

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის ძმას კლინიკა „ლანცეტის“ გაყიდვა შესთავაზეს“

ნინო კუზანოვა: „თუ ვიცოდე, რატომ მედავებიან კარლო კეკელიძის სიკვდილში“

დიმიტრი გაბუნია: „დიდ გაურკვევლობაში ვარ“

„ლანცეტში კომისიის შემოსვლას ჩემი და ფარმანის საშინელი სკანდალი მოჰყვა“

გვ.3

შოთა მალაშხია: „რუსეთი საქართველოს არჩევნებში სხვანაირად ერევა“

გვ.5

რამაზ საყვარელიძე: „ნარმანიას აუდიტად დანიშვნა ხელისუფლებისათვის წამგებიანია“

გვ.5

გვ.6

„საფინანსო კომპანია „საქართველომ“ 2.300 მეანაბრე დააზარალა“

ISSN 1987-9385

„ლაშა თორდიას „ოცნებაზე“ კომპრომატები აქვს“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ არ გაითვალისწინა „ოცნებამ“ თორდიასთან დაკავშირებული დასკვნა, ვის აშანტაჟებდა ის ხელისუფლებიდან, რა შარში გახვიეს ივანიშვილი და ვინ ახორციელებს მასზე ზეწოლას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი თამაზ მეჭიაური ესაუბრება.

– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ ლაშა თორდიამ „ოცნების“ ელიტა გააცურა, ორივემ ერთად კი ბიძინა ივანიშვილიო. შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხრათ რას გულისხმობთ?

– როგორ არ შემიძლია, ეს საქმე ძალიან კარგად ვიცი და კიდევ გავიმეორებ, რომ თორდიამ „ოცნება“ გააცრუა, ორივემ ერთად კი ივანიშვილი.

პარლამენტში ყოველ წელს იქმნება დროებითი კომისია, რომელიც აუდიტის სამსახურის საქმიანობას სწავლობს. 2014 წელს მე მომიწია ვყოფილიყავი ასეთი კომისიის თავმჯდომარე. ჩემი ხელმძღვანელობით კომისიამ აუდიტის სამსახურის 2013 წლის საქმიანობა შეისწავლა.

2013 წელს ამ კომისიას ბატონი ნოდარ ებანოიძე ხელმძღვანელობდა, მე კომისიის რიგითი წევრი ვიყავი. მაშინ აუდიტის სამსახურის 2012 წლის საქმიანობა შევისწავლეთ და საკმაოდ სერიოზული დარღვევები აღმოვაჩინეთ.

– რა დარღვევებზეა საუბარი?

– 2012 წელს ქვეყანაში საშინელებები ხდებოდა. აუდიტის სამსახური ოპოზიციაზე ზეწოლას ახორციელებდა. მოხდა „ქართუს“ ანგარიშების დაყადაღება და გარკვეული პიროვნებების დაჯარიმება. ოპოზიციის დასატერორებლად აუდიტის სამსახურში სპეციალური ქვეგანყოფილებაც კი შეიქმნა. მას ნათია მოგელაძე ხელმძღვანელობდა.

გარდა ამისა, იყო სხვა დარღვევებიც. საუბარია ხელფასებზე, პრემიებზე, დანამატებზე. მოკლედ რომ გითხრათ, შემოწმების შედეგად დარღვევების მთელი ბუკეტი აღმოვაჩინეთ. მოხდა ისე, რომ კომისიამ დასკვნა პლენარულ სხდომაზე ვეღარ გამოიტანა. ქვორუმის არარსებობის გამო, კომისიის დასკვნითი სხდომა ვერ შედგა. ამის მიუხედავად, ნოდარ ებანოიძემ შემოწმების შედეგები მაინც გაასაჯაროვა.

– კომისიის მუშაობის შედეგების გასაჯაროებას მოჰყვა რაიმე რეაგირება?

– სამწუხაროდ, რეაგირება არ მოჰყოლია. 2014 წელს დროებით საპარლამენტო კომისიას მე ვუხელმძღვანელე. რეგლამენტის თანახმად კომისიას აუდიტის სამსახურის წინა წლის საქმიანობა უნდა შეესწავლა მხოლოდ. მე რეგლამენტს გადავუხვიე და მოვიკითხე თუ რა ხდებოდა 2012 წლის დარღვევებთან დაკავშირებით.

წინა კომისიისგან განსხვავებით, ჩვენ დასკვნაც დავდეთ და ის პლენარულ სხდომაზეც გავიტანეთ. სხვათა შორის, მაშინ პირველად და უკანასკნელად მოხდა ისეთი რამ, რომ საკანონმდებლო ორგანომ არადამკმაყოფილებლად შეაფასა აუდიტის სამსახურის საქმიანობა.

იმაზეც კი იყო საუბარი, რომ დასკვნა პროკურატურისთვის უნდა გადაგვეგზავნა. კომისიის დასკვნა აინტერესებდა არასამთავრობო სექტორსაც. დავით უსუფაშვილმა მაშინ ასეთი რამე გვითხრა, რომ რაკი ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო ქვეყანაში, უმჯობესი იქნებოდა თუ ამ დასკვნას პარლამენტის საიტზე ავტვირთავდით.

– პროკურატურას რატომ არ გადაუგზავნა პარლამენტმა დასკვნა?

– ასე გადაწყვიტეს, რომ მთავრობამ თავად მიმართოს სათანადო ორგანოებსო. აქ ბევრი ისეთი დარღვევა იყო აღმოჩენილი, რომ პროკურატურა და შემოსავლების სამსახური უნდა დაინტერესებულიყო.

– თქვენი აზრით, რატომ არ დაინტერესდნენ?

– ალბათ ჰქონდათ ამის მიზეზი. დღემდე არ ვიცი, რა გარიგება შედგა თორდიას და „ოცნების“ ელიტას შორის.

– რა გარიგებაზე საუბრობთ?

– ეს დეტალები ჩემთვის უცნობია. ფაქტი ისაა, რომ დასკვნას რეაგირება არ მოჰყოლია. ცოტა ხანში თორდიას ახალი მოადგილეები დაუნიშნეს. აუდიტის სამსახურმა მუშაობა ჩვეულებრივად გააგრძელა. ახლა კი ყველა ვხედავთ, რომ თორდია „ოცნებას“ ცუდად შემოუტრიალდა.

სამწუხაროდ, აუდიტის სამსახური ყოველთვის გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებისთვის. ბოდიში ამ გამოთქმისთვის და „ოცნებამ“ თორდიასთან ჭამა და მას დაუჯერა. არ გამოვრიცხავ, რომ გენერალურ აუდიტორს რაღაც კომპრომატებიც ჰქონდა.

– „ოცნების“ წევრებზე ჰქონდა კომპრომატები?

– „ოცნების“ წევრებზეც ჰქონდა. ეს ის პერიოდია, როცა თორდია ხან ინფრასტრუქტურის სამინისტროს ემუქრებოდა და ხან სხვადასხვა უწყებებს. ესეც ამტკიცებს იმას, რომ მას კომპრომატები ჰქონდა. აქედან გამომდინარე დიდია იმის ალბათობა, რომ თორდიასთან გარიგება შედგა.

„ოცნებას“ გენერალურ აუდიტორთან დაკავშირებით აქამდე პრეტენზიები არ ჰქონია. მისი ცუდი მხარეები მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა პირადად მათ, ამ შემთხვევაში ფარცხალაძეს შეეხო. „ოცნება“ მაშინ იქნებოდა მართალი, ჯერ კიდევ 2013-2014 წლებში რომ დაინტერესებულიყო ამ პერსონის საქმიანობით.

ობიექტურობისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ მომდევნო წლებში აუდიტის სამსახური უკეთესად მუშაობდა. აუდიტის სამსახურში დღემდე მუშაობენ ყოფილი ხელისუფლების დროინდელი კადრები. ისინი გაქნილები, მაგრამ თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები არიან. მათთან „ოცნებას“ ოპონირება ძალიან უჭირს.

სასაცილოა საუბრები იმაზე, რომ თორდიას გალახვის ფაქტი სპეციალურმა საპარლამენტო კომისიამ უნდა შეისწავლოს. თუ კომისიას ქმნით, მაშინ მთლიანად აუდიტის სამსახურის საქმიანობა შეისწავლეთ. სხვა თუ არაფერი, ეს პარლამენტის პირდაპირი მოვალეობაა.

ჩემი აზრით, საპარლამენტო კომისიამ პირველ რიგში ის უნდა დაადგინოს, აუდიტის სამსახური ამ წლებში ქვეყანას ემსახურებოდა თუ რომელიმე პარტიის ინტერესებს. თორდია აქამდეც ყოფილი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა. ახლა ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა. ეს ყველაფერი კი პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს ურტყამს. „ოცნება“ ისეა გატრუნული, თითქოს მას არაფერი ეხება.

ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი უსუსურობა და დანაშაული ის არის, დამნაშავე ნაციონალები დააწინაურეს. იმასაც გეტყვით, რომ ნაციონალები „ოცნებას“ მეტასტაზასავით მოედნენ. შლიან ამ ორგანიზმს და კატასტროფისკენ მიაქანებენ. არსებული სიტუაციის გაჯანსაღება ივანიშვილსაც კი ძალიან გაუჭირდება.

ძველი და ახალი ხელისუფლებები ისე გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს, რომ პირად ანგარიშსწორებამდე დავიდა მთელი ეს ბრძოლა. მათ დაპირისპირებას პოლიტიკასთან საერთო აღარაფერი აქვს.

– თავის დროზე „ოცნებამ“ თორდია რატომ დატოვა ამ თანამდებობაზე? ხომ შეეძლოთ მისი გადაყენება?

– როგორ არ შეეძლოთ, მაგრამ არ გააკეთეს. შესაძლოა ამ პიროვნებამ „ოცნება“ კომპრომატებით დაიყოლია. უკვე გითხარით, რომ ისინი ძალიან გადაიხლართნენ ერთმანეთში.

ისიც გითხარით, რომ ნაციონალები დააწინაურეს, მაგრამ ისინი კი არა, რომლებიც

თამაზ მეჭიაური: „ბიძინა ივანიშვილზე ზეწოლა ხორციელდება“

ტვინები იყვნენ, არამედ ის ხალხი, ვინც სააკაშვილის დროს მეორეხარისხოვან დავალებებს ასრულებდა. მიშას დროს ეს ადამიანები სათადარიგო სკამს ვერ გასცდებოდნენ, ესენი კი ძირითადში ათამაშებენ.

– თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ თორდიას ხელთ არსებული კომპრომატები. თქვენი აზრით, ის ახლაც აგრძელებს „ოცნების“ დაშანტაჟებას?

– ახლაც აშანტაჟებს თუ არა „ოცნებას“ ვერ გეტყვით, მაგრამ მას ხელთ ძალიან სერიოზული მასალები აქვს. ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ თორდია იმ პირებს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რომლებიც გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე განიხილებიან.

– დავით ნარმანია განიხილება ამ თანამდებობაზე. თქვენი საუბრიდან თუ ვიმსჯელებთ, ფარცხალაძის სკანდალს მერია შემთხვევით არ უკავშირდება.

– შემთხვევით არაფერი არ ხდება. გენერალური აუდიტორის ხელში ძალიან ბევრი მასალაა თავმოყრილი.

– თქვენ ამბობთ, რომ „ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთში გადაიხლართნენო. ამაზე ივანიშვილის რეაქცია როგორია? „ოცნება“ მის გარეშე ჩაეხუტა ნაციონალებს?

– რატომღაც მგონია, რომ ეს ივანიშვილის გარეშე მოხდა. პოლიტიკიდან 2013 წლის ბოლოს წავიდა. მას „ოცნებასთან“ კომუნიკაცია აღარ აქვს. მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ხვდება და ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის. მან მართლა არ იცის, რეალურად რა პროცესები მიდის.

– გინდათ თქვათ, რომ ეს რამდენიმე ადამიანი ივანიშვილს არასწორ ინფორმაციას აწვდის?

– როცა ურთიერთობები მონოპოლიზებულია, იქ ყოველთვის ხდება სიმართლის დამალვა, ან მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდება. გარდა იმისა, რომ ივანიშვილი ინფორმირებული არ არის, დიდი ალბათობით მასზე ზეწოლაც ხორციელდება.

– ვინ ახორციელებს ზეწოლას?

– თუნდაც დასავლეთი. დასავლეთს ხელისუფლებაში არაეროვნული ძალების ყოფნა სურს. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველო რუსეთს არ დაელაპარაკოს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე იზრუნოს. დასავლეთში არიან ძალები, ვისთვისაც საქართველო მხოლოდ რუსეთის გამაღიზიანებელ იარაღად გამოიყენება.

ყველაფრის მიუხედავად, ქვეყანაში ვითარების გამოსწორება მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია. ამის დრო და შესაძლებლობა ჯერ კიდევ არის.

სააპელაციო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს აღოკატები დაუბრუნა



შორენა მარსაგიშვილი

30 მაისს დეკანოზ გიორგი მამალაძეს ისევ ძველი ადვოკატები დაიცავენ. გუშინ, 24 მაისს, სააპელაციო სასამართლომ ბესიკ ბუგიანიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა.

– მოსამართლე ბუგიანაშვილმა თავის განკარგულებაში ერთი რამე ჩაწერა მხოლოდ – წესრიგი დაარღვია. გამოდის, რომ ყველა ჩვენგანმა ცალ-ცალკე დავარღვიეთ წესრიგი. როცა რაღაც გადაწყვეტილებას ღებულობს, მოსამართლეს პირდაპირ ევალება დაასაბუთოს, თუ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება.

ბუგიანაშვილს არსად არ უწერია, რა დავარღვიეთ, ან რაში გამოიხატებოდა ჩვენი მხრიდან წესრიგის

მიხეილ რამიშვილი: „საპატრიარქოს იურისტი ცილისწამებისთვის პასუხს აგებს“

დარღვევა. ამის ფონზე ჩვენ დასაბუთებულად მივმართეთ სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლო ჩვენი საჩივრის ძალიან ობიექტური შემფასებელი გამოდგა. მამა გიორგის უფლებებს ისევ ჩვენ დავიცავთ, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა.

მისი განცხადებით, დაცვის მხარე უკვე აქტიურად ემზადება 30 მაისს დაგეგმილი სასამართლოსთვის.

მიხეილ რამიშვილი არ გამორიცხავს, რომ ამ დროისთვის დეკანოზის წინააღმდეგ მორიგი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელონ.

ის სკანდალების შესაძლო გამავრცელებლებს ასეთ რჩევას აძლევს:

– მინდა ყველამ დაიმახსოვროს, რომ დრონი მეფობენ. დროს აქვს ერთი გენიალური თვისება. დროს ვინც გაასწრებს, ის ყოველთვის წააგებს. დრო ძალიან მალე ყველაფერს თავად მოიტანს და დროს გასწრებული, ცხადია, წაგებული იქნება.

მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ საპატრიარქოს იურისტმა გაასწრო დროს.

– სად ეჩქარებათ? რატომ ას-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის ძმას კლინიკა „ლანცეტის“ გაყიდვა შესთავაზეს“

ნონა ცაბაძე

23 მაისს კლინიკა ლანცეტის დირექტორს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დაცვის მხარე პატიმრობის სანაცვლოდ 100.000 ლარის გადახდას მოითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

დაკავებული ფარმან ჯეირანლი აცხადებს, რომ არიან დაინტერესებული პირები, მათ შორის ნინო კუზანოვა და დიმიტრი გაბუნია, რათა საქართველოში არ იყოს მაღალი დონის კლინიკა.

გარდა ამისა, ნინო კუზანოვას კარლო კეკელიძის სიკვდილში ადანაშაულებენ.

„ახალი თაობა“ სამივე მხარეს, ფარმან ჯეირანლის ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილს, ნინო კუზანოვას და დიმიტრი გაბუნიას ესაუბრა.

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის ძმასთან მისულან კლიენტები, ვიყიდით ამ კლინიკასო“

– ბატონო გელა, კლინიკა ლანცეტის დირექტორს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თქვენ მის ინტერესებს იცავთ. რისი თქმა შეგიძლიათ აღნიშნულ საქმეზე?

– აჯობებს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ფარმან ჯეირანლიმ კლინიკა ლანცეტი საქართველოში გახსნა 2014 წელს. ეს მარტო საავადმყოფო არ არის, მთელი ინფრასტრუქტურაა, თავისი სასტუმრო და საკვები ობიექტებით. მან ამ ყველაფერში ჩადო 30 მილიონი დოლარი და ეს პროცესზეც განაცხადა.

– ანუ სერიოზული ბიზნესი ჰქონდა საქართველოში?

– ბუნებრივია, ეს არის დიდი ბიზნესი, მოგებაზე ორიენტირებული, ეს არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია. წლების განმავლობაში მუშაობდა ძალიან წარმატებულად, იყო რეკლამირებული. ამ კლინიკას არა მარტო საქართველოს მოქალაქეები, არამედ უცხოეთის მოქალაქეები აკითხავდნენ. ძირითადად ტრანსპლანტაციით იყო დაკავებული ეს კლინიკა.

– ალბათ ამის ნებართვა ჰქონდა.

– რა თქმა უნდა, ნებართვა ოფიციალურად ჰქონდა აღებული. ათეულობით ოპერაცია აქვთ გაკეთებული.

– თუმცა, ბოლო ორი გახმაურდა, რომლებიც ფატალურად დასრულდა.

– დიახ, მივალთ მაგ თემამდეც. 2 თუ ფატალურად დასრულდა, 200-მა წარმატებით ჩაიარა. ღვიძლის გადანერგვა პირველად გაკეთდა იმ პერიოდში, მანამდე თირკმლის და სხვა ორგანოების გადანერგვა კეთდებოდა. სამწუხაროდ, 2016 წელს ორი ოპერაცია დასრულდა ფატალურად. ეს იყო ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია. ორივე პაციენტი იყო უმძიმეს მდგომარეობაში, ერთს ჰქონდა ღვიძლის კიბო, მეორეს ჰქონდა ღვიძლის ციროზი-დაშლა, სიკვდილის პირას იყვნენ ეს ადამიანები და მათი გადარჩენის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი იყო, თუ გადანერგვა არ მოხდებოდა.

– თუმცა მაინც ვერ გადარჩნენ.

– სამწუხაროდ. რადგან მათი გადარჩენის შანსი ნულის ტოლი იყო, გარისკეს მათაც და ოჯახის წევრებმაც და ექიმებმაც, როდესაც ჩაატარეს ეს ოპერაცია. სამწუხაროდ, ოჯახისა და კლინიკის საუბედუროდ, ეს ოპერაციები წარუმატებლად დამთავრდა. ტრანსპლანტაციის დროს შეუთავსებელი აღმოჩნდა დონორის ღვიძლი.

ამ ადამიანის მიზანი, როდესაც საქართველოში ამ ბიზნესს იწყებდა, იყო ის, რომ არა მხოლოდ აქაური მოქალაქეები მოეზიდა, არამედ უცხოელებიც.

– საქართველოში რა ჯდებოდა მსგავსი ოპერაციები?

– როგორც ჩემმა კლიენტმა განაცხადა, თუ საქართველოში ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია ღირს 40 ათასი დოლარი, თურქეთში ღირს 80 ათასი დოლარი, ევროპაში 150 ათასი, ხოლო ამერიკაში 500 ათასი დოლარი. ამიტომ ეს ბიზნეს გათვლაც იყო, არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები იქნებოდნენ ამით დაინტერესებულნი და ისინი უცხოეთში კი არ დახარჯავდნენ ორმაგ თანხებს, აქვე დაიხარჯებოდა. თან უცხოეთიდან აქ ჩამოვიდოდნენ მსგავსი ოპერაციის გასაკეთებლად. ეს პროცესი საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა ამ ტრაგიკულ შემთხვევამდე.

– კლინიკის ხელმძღვანელს ედავებიან იმას, რომ ასეთი ოპერაციებისთვის ლიცენზია არ ჰქონდა. ამაზე რას იტყვით?

– ქირურგს, რომელმაც ეს ოპერაციები გააკეთა, ასეთი ოპერაციები თურქეთში ათეულობით და ასეულობით აქვს ჩატარებული. თავად ლანცეტის დირექტორიც ქირურგია, 37 წლის სტაჟით, არის პროფესორი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე. ის ლანცეტის გენერალური დირექტორი იყო და ეს ოპერაციები მას არ გაუკეთებია. ოპერაცია გააკეთა თურქეთიდან ჩამოყვანილმა ექიმმა. თუმცა იმასაც კი ედავებიან, ეუბნებოდა კლიენტებს, თურქეთიდან ჩამომყავსო და სინამდვილეში ეს კაცი აზერბაიჯანელიაო.

ნინო კუზანოვა: „თუ ვიცოდე, რატომ მედავებიან კარლო კეკელიძის სიკვდილში“

– ასეა?

– კი, ის პროფესორი აზერბაიჯანელია, მაგრამ მას თურქეთში აქვს დამთავრებული, თურქეთში აქვს დიპლომი მიღებული, იქ აკეთებდა ოპერაციებს, იქ მუშაობდა და მის ეროვნებას რა მნიშვნელობა აქვს?! ვერავინ უარყოფს იმას, რომ ეს კაცი იყო მაღალკვალიფიციური და თავისი საქმის კარგი სპეციალისტი. თითო ოპერაცია 16 საათი გრძელდებოდა, საკმაოდ რთული ოპერაციები იყო.

კიდევ ერთი დეტალი – ამ გარდაცვლილი პაციენტებიდან ერთ-ერთმა გადაიხადა ოპერაციის თანხა 40 ათასი დოლარის ექვივალენტი ლარში, 99 ათასი ლარი. ხოლო მეორის ოჯახმა განაცხადა, რომ ამხელა თანხა ხელთ არ ჰქონდა და გააფორმა სესხის ხელშეკრულება. ჟარგონი რომ ვიხმაროთ, „პოსლეზე“ გაკეთდა ოპერაცია და თანხა შემდეგ უნდა გადაეხადათ.

– როგორც ცნობილია, მეორე პაციენტს თანხა არ გადაუხდია.

– ამ პაციენტებიდან ერთი 7 დღის შემდეგ გარდაიცვალა, მეორე კი – 10 დღის შემდეგ. მეორე პაციენტის ოჯახმა ეს თანხა აღარ გადაიხადა. დაკავებულს პირველ შემთხვევაში ედავებიან, რომ თაღლითობა ჩაიდინა, ხოლო მეორე პაციენტის შემთხვევაში, ვისაც არ გადაუხდია, თაღლითობის მცდელობა გქონდაო. რა შუაშია აქ თაღლითობა? სად ჩანს თაღლითობა? რატომ უნდა ეთაღლითა?! 30 მილიონი კაცმა ჩადო და 40 ათასის გულისთვის გაიფუჭებდა საქმეს? ან რა ინტერესი ჰქონდა?

„ლანცეტში კომისიის შემოსვლას ჩემი და ფარმანის საშინელი სკანდალი მოჰყვა“

პირიქით, მისი ინტერესი იყო, რომ რაც შეიძლება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო ოპერაციები და ბევრი კლიენტი მოეზიდათ. ისედაც ადამიანი გარდაეცვალათ, ამხელა ანტირეკლამაა და თაღლითურად რატომ უნდა მიეთვისებინა ეს თანხა? აქედან გამომდინარე, ჩვენ ვდავობთ იმას, რომ არანაირ წინასწარ განზრახულ თაღლითობას ადგილი არ ჰქონია.

– ლიცენზია რომ არ ჰქონდა მოწვეულ ექიმს?

– მოწვეულ ექიმს ლიცენზია თურქეთში ჰქონდა. შემდეგ აქ ნებართვაც მისცეს ჯანდაცვის სამინისტროდან ოპერაციაზე. უბრალოდ, ლიცენზიის ვადის გაგრძელებას ელოდებოდა. ამოეწურა ვადა და უნდა მიეცათ ახალი ლიცენზია. სწორედ ამ წყვეტის პროცესში გაკეთდა ეს ოპერაცია. როდესაც მივიდნენ პაციენტები და სთხოვეს ოპერაციის გაკეთება, როდესაც ყველაფერი დღეებზე იყო დამოკიდებული, ექიმს რა ეთქვა, დაიცადეთ, სანამ ლიცენზია გამიგრძელდებაო?!

აი, ასეთია ამ საქმის სიტუაცია. თვითონ დაკავებული კი ვარაუდობს, რომ ეს ყველაფერი იმ ადამიანებმა მოუწყვეს, ვისაც არ აწყობდა ასეთი მაღალი დონის კლინიკა საქართველოში.

– ვის არ აწყობდა? ან ნინო კუზანოვა და დიმიტრი გაბუნია რა შუაშია ამ საქმესთან? დაკავებულმა მათი გვარები ახსენა. რა კავშირი აქვთ მათ ამ საქმესთან?

– ფარმან ჯეირანლიმ ზოგადად განაცხადა, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ ეს ბიზნესი არ განვითარდეს, რადგან აქაური კლიენტები როდესაც მიდიან უცხოეთში მსგავსი ოპერაციის გასაკეთებლად, იმ ფირმებს თუ ორგანიზაციებს, ვისაც ეს ხალხი მიჰყავს, აქვთ სერიოზული ინტერესი, რომ პაციენტებმა უცხოეთში გაიკეთონ ძვირადღირებული ოპერაციები.

– მათი ინტერესი რაში მდგომარეობს?

– იმაში მდგომარეობს, რომ იმ უზარმაზარი თანხიდან, რომელსაც პაციენტები იხდიან, 15-20% ამათ რჩებათ, რადგან აქედან, უხეშად რომ ვთქვათ, ე.წ. საქონელს, კლიენტებს აწვდიან.

როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, ერთი მხრივ, არის ასეთი წრეები და მეორე მხრივ, შემორჩენილია სააკაშვილის დროინდელი ხალხი, რომლებსაც მისთვის ბიზნესის წართმევა სურს. ჯერ არ დაეკავებინათ და მის ძმასთან გუშინვე მისულან კლიენტები, ვიყიდით ამ კლინიკასო. ის აცხადებს, რომ მისი გაკოტრება და ამ ბიზნესის მუქთად ხელში ჩაგდება უნდათ.

– ამ ყველაფერთან რა შუაში არიან კუზანოვა და გაბუნია?

– კუზანოვა და გაბუნია მან სულ სხვა კონტექსტში ახსენა. მან განაცხადა, ისინი პროკურატურასთან თანამშრომლობენო. მათ გვარებთან მიმართებაში არანაირი დაკონკრეტება არ ყოფილა. გაბუნია მე მიცავდა და შემდეგ პროკურატურას შეეკრაო. ასეთი რამ განაცხადა. სიმართლე გითხრათ, ეს საკითხი ჩემთვის ცოტა ბუნდოვნად დარჩა. რაიმე კონკრეტულ დანაშაულზე რომ დაედო მათთვის ხელი, ასეთი რამ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ უთქვამს. უბრალოდ თქვა, შეკრულები არიან პროკურატურასთან და მასთან თანამშრომლობენ ჩემ წინააღმდეგო.

მე ამ საკითხზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, ჩემი მხრიდან იქნება ცილისწამება გაბუნიას მიმართ, მე რომ მას რაღაც დავაბრალო. მე ჯერ არ მქონია საშუალება, რომ დეტალურად გავსაუბრებოდი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. მე შევხვდები მას და დეტალურად შემდეგ ვისაუბრებთ.

– გადაწყვეტილებას გაასაჩივრებთ?

– თავად დაკავებულმა თქვა, გავასაჩივროთო, თუმცა მე ნაკლები იმედი მაქვს, რომ ეს გადაწყვეტილება შეიცვლება.

– ფიქრობთ, რომ მას ამ მუხლით გაასამართლებენ?

– ყოველ შემთხვევაში, სასამართლომდე მივა საქმე და სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს ან გამამართლებელს, ჯარიმას ან ციხეს. ზოგადად ეს მუხლი ითვალისწინებს ჯარიმასაც.

– თუ ჯარიმას ითვალისწინებს, გირაოზე რატომ არ დათანხმდა მოსამართლე?

– სწორედ ეს არის ჩემთვის გასაკვირი. ალბათ იმიტომ, რომ პროკურატურამ გააპიარა და ისეთი ინტერესი გამოამჟღავნა ამ საქმის მიმართ, რომ მოსამართლემ ვერ გაბედა. თორემ 100 ათას ლარს სთავაზობდა გირაოს სახით. ჩემს პრაქტიკაში ამხელა თანხა არასდროს არავის შეუთავაზებია. ჩემთვისაც გასაკვირია ის, რომ, ამხელა თანხის შეთავაზების მიუხედავად, გირაოზე უარი გვითხრეს. ვითომ სხვა მოწმეებზე მოახდენს გავლენას და ახალ დანაშაულს ჩაიდენსო.

ეს ხომ საერთოდ აბსურდია. რა დანაშაული უნდა ჩაიდინოს?! ის ამ კლინიკის დირექტორი იყო. იმ გარდაცვალების შემდეგ, სამწუხაროდ, უკვე ისე შეელახა სახელი, რომ კლინიკა წაგებაზე მუშაობს. კლიენტები აღარ მიდიან. ანტირეკლამა და ანტიპიარი მოხდა. ეს საკითხი ინვესტიციების შემოდინების თემასაც ძალიან

აზარალებს ჩვენს ქვეყანაში.

– როგორც მის ადვოკატს, გაქვთ იმის ეჭვი, რომ ეს იყო მიზანმიმართული აქცია მისი ბიზნესის ჩასაძირად, ან ხელში ჩასაგდებად?

– მე ამ კითხვაზე ჯერჯერობით ვერ ვუპასუხებ. არ გამოვრიცხავ იმას, რომ იყო, ან არ იყო. საქმეში ღრმად უნდა ჩავიხედო, მე ჯერ მხოლოდ ორი დღეა, რაც საქმეს ხელი მოვკიდე. ჯერ წესიერად გასაუბრებაც კი ვერ მოვასწარი ჩემს კლიენტთან.

ნინო კუზანოვა: „არ ვიცი, რატომ მედავებიან კარლო კეკელიძის სიკვდილში“

– ქალბატონო ნინო, ლანცეტის სკანდალთან დაკავშირებით რატომ გაიჟღერა თქვენმა გვარმა, რაში გადანაშაულებთ კლინიკის ხელმძღვანელი?

– იცით, ეს განცხადებები რომ წავიკითხე, მწარედ გამეცინა. მადანაშაულებს იმაში, რომ თურმე მე ყველაფერში ხელს ვუშლიდი. უფრო მეტი უნდა შემეშალა, მაგრამ ამისი არც ძალა მქონდა და არც ძალაუფლება და ზუსტად მაგიტომ მოხდა ის, რაც მოხდა.

– რა მოხდა?

– ის, რომ ზუსტად მაგიტომ წამოვედი მაგ კლინიკიდან, რომ ჩემთვის მისი გადაწყვეტილებები და მიდგომები იყო სრულიად მიუღებელი.

– თქვენ ბრალს გდებენ პაციენტის გარდაცვალებაში. ამ კონტექსტში რატომ გაიჟღერა თქვენმა გვარმა?

– იცით რა, ჩემი გვარი იმდენად ხვდება ყურს, რომ ვიღაც სხვა გვარი რომ ყოფილიყო, ალბათ ამხელა ამბავი არ იქნებოდა. უბრალოდ, იმ დროს ვიყავი მთავარი ექიმი და, შესაბამისად, ზუსტად იმ პერიოდში მოხდა ეს ამბავი. ფარმან ჯეირანლი მოელაპარაკა ძალიან ცნობილ აზერბაიჯანელ ქირურგს, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ტრანსპლანტოლოგია მსოფლიოში. მოელაპარაკა, რომ მას გაეკეთებინა ოპერაციები, საერთოდ თბილისში გადმოსულიყო სამუშაოდ. ეს ცუდი იდეა ნამდვილად არ იყო. დაიგეგმა კიდეც ეს ოპერაციები.

– ლიცენზია არ ჰქონდა ამ ქირურგსო...

– მე მრავალჯერ მოვიკითხე ლიცენზირების თემა, რომელზეც მან გამცა პასუხი, რომ ყველა დოკუმენტაცია არის მწყობრში. კადრების სამსახური და იურიდიული სამსახური მე არ მექვემდებარებოდა. ეს უშუალოდ გენდირექტორს ექვემდებარებოდა. მე ძალიან მაინტერესებდა, როგორ წარიმართებოდა ეს იურიდიული მხარე, რაზეც ის მეუბნებოდა, რომ ყველაფერი არის წესრიგში.

– თქვენ არ იცოდით, რომ ამ ქირურგს ლიცენზია არ ჰქონდა?

– მის ლიცენზიას რომ ვადა ჰქონდა გასული, ეს მე ნამდვილად არ ვიცოდი და ამას ძალიან ბევრი ფაქტი ადასტურებს. ეს მე გავიგე უკვე ოპერაციების შემდეგ, როდესაც ჯანდაცვის კომისია შემოვიდა და ვიყავი გაოგნებული და ამას მოჰყვა სწორედ ჩემი და ფარმანის საშინელი სკანდალი, ბევრი ადამიანის თანდასწრებით.

ამის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო დაგვეძაბა ურთიერთობები, მაშინვე მინდოდა წამოსვლა, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალე, რომ ჯანდაცვის კომისიის იქ ყოფნის პერიოდში მე მათ გვერდით უნდა დავდგომოდი. მათ ვეხმარებოდი დოკუმენტაციების მიწოდებაში. შემდგომში მე წამოვედი კლინიკიდან, რადგან პრინციპული განსხვავებები გვქონდა ჩვენ ყველაფერთან დაკავშირებით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახმეტის მოსახლეობა კონგოში დაპატიმრებული მფრინავის, სოსო ოსორაულის გადარჩენას ითხოვს

41 წლის ქართველი სამხედრო მფრინავი სოსო ოსორაული კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების ტყვეობაში იმყოფება. სოსო ოსორაული წარმოშობით ახმეტის რაიონის სოფელ ალვანიდანაა. გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ კონგოში მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება და, სავარაუდოდ, შეტაკებების დროს იოსებ ოსორაული დაიღუპა. თუმცა, ამავე ბრიფინგს ესწრებოდა იოსებ ოსორაულის ძმა, რომელიც თავდაცვის სამინისტროში მუშაობს. მან თქვა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ დასადგენია.

იოსებ ოსორაულის დაღუპვას კატეგორიულად უარყოფს სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს კონგოში მყოფ ქართველ სამხედროებთან.

გულიკო ბალაძე

– ბატონო დავით, კონგოში დატყვევებული ქართველი სამხედრო მფრინავის, იოსებ ოსორაულის შესაძლო დაღუპვის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია გაავრცელა. როგორც ვიცი, თქვენ გაქვთ კავშირი კონგოში მყოფ ქართველ სამხედროებთან, ხომ არ გაქვთ ინფორმაცია იოსებ ოსორაულის თაობაზე?

– სახელმწიფო ინსტიტუციების უსამართლო კრიტიკისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ დილეტანტიზმი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ რამდენიმე დღის წინ, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბრძოლო მოქმედებებს ჰქონდა ადგილი და, სავარაუდოდ, პოლკოვნიკი იოსებ ოსორაული გარდაცვლილიაო. მე საგარეო საქმეთა მინისტრს ვუსვამ კითხვას: თუ ეს ყველაფერი რამდენიმე დღის წინ მოხდა, რატომ მაინცდამაინც მაშინ გააკეთეს განცხადება, როდესაც ალვანში, ოსორაულის მშობლიურ სოფელში, მოსახლეობა საპროტესტო აქციას გეგმავდა. მათ ამ აქციას რამდენიმე საათით დაასწრეს.

– მგონი, განცხადება იოსებ ოსორაულის ძმასთან ერთად გაკეთდა.

– მისი ძმა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია. ისიც მფრინავი და ძალიან კარგი პიროვნებაა. ძალიან სწორი კომენტარი გააკეთა. თქვა, რომ ჯერ ყველაფერი გასარკვევია. მე მის შესახებ არაფერს ვიტყვი, ოჯახის წევრია. განცხადებას ვაკეთებ იმ ოფიციალური უწყებების მისამართით, ვინც არასწორ ნაბიჯებს დგამს. მოსახლეობას აინტერესებს იოსებ ოსორაულის ბედი, მისი გათავისუფლება და ჩამოყვანა. გამოსვლა და იმის თქმა, რომ ის გარდაიცვალა, სრული აბსურდი და სიცრუეა.

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოსორაულის სავარაუდო დაღუპვის შესახებ განცხადება იმიტომ გააკეთა, რომ მოსახლეობის პროტესტი შეენელებინა?

– დიახ, მათი განცხადება მოსახლეობის პროტესტის განეიტრალებას ისახავდა მიზნად, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იოსებ ოსორაულის სავარაუდო გარდაცვალების შესახებ, სიცრუეა. ამას გეუბნებით 100%-ით დარწმუნებული.

– და მაინც, თუკი ოსორაული ცოცხალია, რაში უნდა სჭირდებოდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამგვარი მძიმე განცხადების გაკეთება?

– მოსახლეობა ითხოვს იოსებ ოსორაულის გადარჩენას. თუკი ოსორაული გარდაიცვლება სახელმწიფო უწყებების უყურადღებობით მომავალში, დააბრალებენ რაღაც შეტაკებებს. რა ვქნათ, უცხო ქვეყანაა, ჩვენ კი ვეცადეთ, მაგრამ ომია და ვერ გადავარჩინეთო. მოსახლეობას მანამდე კი მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ გარდაცვლილი იყოო. საგარეო უწყება თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას.

– როგორც ვიცი, ახლახან დაუკავშირდით კონგოში პირდაპირ იოსებ ოსორაულს თუ მის მეგობრებს. ახლაც თქვით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება სიცრუეა, ანუ იოსებ ოსორაული ცოცხალია.

– მე ვესაუბრე იოსებ ოსორაულის თანამებრძოლებს, რომლებიც გაცილებით მეტად „ინფორმირებულები“ არიან, ვიდრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

– საგარეო საქმეთა სამინისტრო არ არის ინფორმირებული?

– სინამდვილეში საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა ინფორმაცია აქვს. ფლობს ყველანაირ ინფორმაციას. ფლობს საკონტაქტო ინფორმაციებს მათ შესახებ, ვისაც ჰყავს ტყვედ სოსო ოსორაული. ვერ გავიგე, რას აკეთებს საგარეო უწყება? ნაცვლად იმისა, რომ რამე გააკეთოს, ამგვარ განცხადებებს აკეთებს, როცა ხალხი შეიკრიბება. რა თქმა უნდა, ხალხი შეიკრიბება. ეს პატარა თემა არ იქნება.

ექსკლუზიურად თქვენთან ვიტყვი, ეს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრალი არ არის, თავდაცვის სამინისტროს ბრალიცაა.

– თავდაცვის, რატომ?

– იმიტომ, რომ კონგოს რესპუბლიკაში იმყოფება სპეციფიკური კონტინგენტი. ეს არის ის პირადი შემადგენლობა, რომელიც არ დააფასეს მათი სამსახურის, პატრიოტიზმისა და პროფესიონალიზმის გამო, გამოყარეს თავდაცვის სამინისტროდან, აიძულეს წასულიყვნენ. ახლა კი საგარეო უწყება მოუწოდებს, ვინც ხართ კონგოს რესპუბლიკაში, ჩამოდით აქო. საინტერესოა, რას სთავაზობს საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ ადამიანებს, აქ რომ ჩამოვიდნენ? ვინ აგებს მათზე პასუხს?

– როგორ ფიქრობთ, რა ხდება? ასეთი სიტუაცია რატომ არის? რატომ ვერ ხერხდება ოსორაულის გათავისუფლება?

– რაც ხდება ოსორაულთან დაკავშირებით, ეს არის სახელმწიფო ინსტიტუტებში მოკალათებული ნაციონალური მოძრაობის კადრების მიზანმიმართული საბოტაჟი სახელისუფლებო ძალის შესასუსტებლად.

– როგორ?

– ეს ყველაფერი ხორციელდება ნაციონალების კადრების მიერ. დაავირდით, პარლამენტში რა ხდება, ამ საკითხთან დაკავშირებით არავის კომენტარი არ გაუკეთებია. ვინ მიიყვანა ის ხალხი ამ ზომამდე? რატომ მოხდა ოქროს ფონდის გადინება თავდაცვის სამინისტროდან?

– თქვენ ოქროს ფონდი ახსენეთ, ანუ კონგოს რესპუბლიკაში წასულია ღირებული ქართული სამხედროების ჯგუფი, ვისთვისაც სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს თუნდაც 1 მილიონი ლარი და უნდა დააბრუნოს ისინი საქართველოში?

– ერთი უბრალო მფრინავის გაზრდას სჭირდება 75 კგ ბაჯაღლო ოქრო. სოსო ოსორაული არ არის ერთი უბრალო მფრინავი, ის არის 100 მფრინავის ტოლფასი. ის არის მფრინავი, რომელსაც უზარმაზარი დამსახურება აქვს საქართველოს სახელმწიფოს წინაშე. როდესაც საქართველოს საჰაერო სივრცე დაკეტილი იყო, 2008 წლის ომის დროს, სოსო ოსორაულმა მეორე ქვეითი ბრიგადის ორი ბატალიონი არხიდან გამოიყვანა ცხინვალში. თინა ხიდაშელმა თუ იზორიამ, რა მნიშვნელობა აქვს, ის აიძულეს წასულიყო საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან. ამიტომ დატოვა ოსორაულმა საქართველო. ამ კატეგორიის მფრინავს ვერ აიძულებ თავდაცვის სამინისტროს წინ დადგეს და ფუნთუშები გაყიდოს.

– ოსორაული ხიდაშელმა გაათავისუფლა?

– ხიდაშელის დროს დაითხოვეს თუ იზორიას დროს, მნიშვნელობა არ აქვს.

– საინტერესოა, რატომ გაათავისუფლეს?

– ხიდაშელმა დაიწყო ის პოლიტიკა – პროფესიონალი კადრების დათხოვნა, რადგან ისინი ამზადებდნენ სამხედრო ავიაციის დაშლას, რაც იზორიამ დაასრულა – თქვა, რომ დამრტყმელი, შემტევი ავიაცია (სუ-25 არ სჭირდება) ქვეყანას არ სჭირდება და ესკადრილია გადაიყვანა თავის ჭკუაზე.

– როგორ არ სჭირდება?

– დიახ, ასე თქვა, არ გვჭირდებაო, რაც გაამართლა გენერალური შტაბის უფროსმა ჩაჩიბაიამ. ეს არის მიზანმიმართული ტრაგედია, რომ ქვეყანა დატოვო სამხედრო ავიაციის გარეშე. თუ შეიარაღებულ ძალებს გამოაკლებ არტილერიას, ავიაციას, საინჟინრო ნაწილს, მაშინ შეიარაღებული ძალები კი არ იქნება, არამედ რჩება მხოლოდ შეიარაღებული ძალა.

– მთავარია, როგორც ჩანს, ოსორაული ცოცხალია.

– როგორც ჩანს, არა, 100%-ით გეუბნებით, იოსებ ოსორაული ცოცხალია! მისი გადარჩენა და დაბრუნება საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟის საქმეა.

ქართველი სამხედრო მფრინავი იოსებ ოსორაული, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტყვედ ჩავარდა 2017 წლის 27 იანვარს. კონგოს შეიარაღებულმა ძალებმა, ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში, ვირუნგას მთათა მასივში, ჩამქრალი ვულკანების – კარისიმბსა და მიკენოს შორის ერთბაშად ორი საბრძოლო I-24 დაკარგეს, რა დროსაც იოსებ ოსორაული ტყვედ ჩავარდა.

გელა ნიკოლაიშვილი: „ფარმან ჯეირანლის ძმას კლინიკა „ლანცეტის“ გაყიდვა შესთავაზეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თუმცა აქვე დავამატებ, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ქირურგს შემდეგ მისცა ლიცენზია, უბრალოდ, ეს იყო წყვეტა.

– უბრალოდ, იმ მომენტისთვის არ ჰქონდა, როცა ოპერაცია ჩაატარა?

– დიახ. იმ მომენტისთვის არ ჰქონდა, როცა ოპერაცია კეთდებოდა. მე კი არა, ჯანდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა მისი, როგორც ქირურგის, ღირებულება. ძალიან მეწყინა იმ ქალის მხრიდან ჩემსკენ ხელის გამოშვერა. მან დამაძალაო, დაჟინებით მეუბნებოდა, საოპერაციო არისო.

– ასე არ ყოფილა?

– მე ვარ კარდიოლოგი, მე ვერავის ვეტყვი, კარდიოლოგიის გარდა, სხვა თემაზე რჩევას. ეს პაციენტები მოყვნენ ამ ქირურგს. ისინი კლინიკაში კი არ მოვიდნენ, ქირურგს წამოყვნენ. შესაბამისად, მე როდესაც მკითხეს, როგორია თქვენი აზრი ქირურგის შესახებო, კარგის მეტი მასზე, მისი ბიოგრაფიის გათვალისწინებით, არაფერი მეთქმოდა. დღესაც ვერ ვიტყვი მასზე, რომ ის არის ცუდი ქირურგი. ორივე ოპერაცია მან წარმატებით ჩაატარა.

– წარმატებით?

– დიახ. ცუდად ჩატარებული ოპერაციის შემთხვევაში პაციენტები დარჩებოდნენ მაგიდაზე. უბრალოდ, პოსტოპერაციულ პერიოდში ამ ოპერაციებს სიკვდილობა აქვს. მაღალი რისკი აქვთ ამ ოპერაციებს.

– ანუ თქვენ ქირურგს არ ადანაშაულებთ?

– ქირურგს არ ვადანაშაულებ. იცით, ეს ისევ ტრანსპლანტოლოგებმა და ქირურგებმა უნდა გაარკვიონ, ყველაფერი კარგად იყო თუ არ იყო. მე ამას, როგორც კარდიოლოგი, ვერ შევაფასებ.

– თქვენ არ გაგიციათ ამ კითხვაზე პასუხი, რა შუაში ხართ კარლო კეკელიძის სიკვდილთან? რაში გდებენ ბრალს?

– აი, თუ ვიცოდე, რაც გინდათ, ის მითხარით. მეც არ ვიცი, რას მედავებიან. ამ ქალის გამკვირვებია. მე მას შევხვდი ერთჯერადად, როცა გამოკვლევები ტარდებოდა, მე კარდიოლოგიური კვლევა ჩავუტარე და ვთქვი, რომ ის ოპერაციისთვის, გულის თვალსაზრისით, მზად იყო, მას პრობლემა არ შეექმნებოდა და ეს დადასტურდა კიდეც. გულის მხრივ მას პრობლემა არ ჰქონია. შემდგომში ვხვდებოდი დერეფანში და ვამხნევებდი. აბა რა უნდა მექნა, არ უნდა გამემხნევებინა?!

– თქვენით თუ დაინტერესდნენ საგამოძიებო უწყებები? ჩვენების მისაცემად გიბარებენ?

– მე დაახლოებით ორი კვირის წინ ვიყავი პროკურატურაში და მოწმის სახით დავიკითხე. ჩემ მიმართ სხვა კითხვები არ ყოფილა. არანაირ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე არ ვგრძნობ, რადგან იქ გადაწყვეტილების მიმღები იყო ფარმანი. მე ზოგადად დაძაბული ურთიერთობები მქონდა ფარმანთან.

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე ჩემი წარმოდგენები მქონდა კლინიკურ საკითხებზე, მას – თავისი წარმოდგენები. ამიტომ მე საერთოდ დისტანცირება გამიკეთა, არ გაეკარო მაგ თემასო.

– და ბოლოს საერთოდ გამოგიშვათ?

– არა, მე თვითონ წამოვედი. მე ვუთხარი, რომ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო მისი დამოკიდებულება კლინიკურ მართვასთან დაკავშირებით და წამოვედი.

– ფარმანი რაში გადანაშაულებთ დღეს? ყოველთვის ხელს მიშლიდა საქმიანობაშიო. რა ინტერესი გქონდათ?

– კარგით რა, რა ინტერესი უნდა მქონოდა. მე რატომ უნდა ვყოფილიყავი მისი ბიზნესის ჩაძირვით დაინტერესებული?! ან იმ პაციენტთან რა ინტერესი უნდა მქონოდა, რაშიც მადანაშაულებენ, ვინმემ გამაგებინოს ერთი! მე რომ ასეთი რაღაც მდომოდა, როცა წამოვედი, სკანდალს მაშინ ავაგორებდი და კლინიკის ანტიპიარს გავაკეთებდი. თუმცა მე ვუფრთხილდები ყველა იმ თანამშრომელს, ვინც იქ მუშაობს. მინდა კარგად იყვნენ და ბევრი პაციენტი ჰყავდეთ და არავინ დაკარგოს სამუშაო ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ფარმანთან ცუდი ურთიერთობა მქონდა, მე არასოდეს მისი ბიზნესის დაძირვა არ მისურვია.

– რამდენად სამართლიანად მოხდა მისი დაკავება?

– ეს არის პროკურატურის და საგამოძიებო ორგანოების გადასაწყვეტი. ისევე, როგორც მე არ მაქვს იმის კომპეტენცია, რომ ვინმეს ღვიძლის ტრანსპლანტაცია ვურჩიო, ასევე არ გამაჩნია იმის კომპეტენცია, ვისაუბრო იმაზე, იყო ის დასაკავებელი თუ არ იყო. სამართალდამცავმა ორგანოებმა ჩემზე უკეთ იციან ეს საქმე, ისინი გაარკვევენ და ყველას თავის ადგილს მიუჩენენ.

დიმიტრი გაბუნია: „დიდ გაურკვევლობაში ვარ“

– ბატონო დიმიტრი, კლინიკა ლანცეტის სკანდალთან დაკავშირებით, მისი დირექტორის მხრიდან თქვენმა გვარმაც გაიჟღერა. რა კავშირში ხართ ამ საქმესთან?

– აბსოლუტურად დიდ გაურკვევლობაში ვარ. თაღლითობაში ეჭვმიტანილმა ადამიანმა რატომ დაასახელა ჩემი სახელი და გვარი, არ ვიცი. მე ნინო კუზანოვას ადვოკატი ვიყავი მაგათ წინააღმდეგ შრომით დავაში, როდესაც ნინო გაათავისუფლეს სამსახურიდან.

– დაკავებულის თქმით, მათი ადვოკატი იყო გაბუნია და დღეს მათ წინააღმდეგ პროკურატურას შეეკრა. ასეა?

– სისულელეა! რა შეხება მაქვს მე პროკურატურასთან, როცა სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატი არა ვარ და არც ლიცენზია გამაჩნია. მე ვიყავი კუზანოვას ადვოკატი. მხოლოდ ამით შემოიფარგლება ჩემი შეხება ლანცეტთან. ჩემთვის გაუგებარია, რატომ, ან რა კონტექსტში დაასახელა ჩემი გვარი! მე წავიკითხე გუშინდელი ნიუსები, ვაპირებ ჩემს კოლეგა გელა ნიკოლაიშვილთან კონტაქტს და თუ ამ ცნობებს არ უარყოფს, მივმართავ სარჩელით სასამართლოს რეპუტაციის შელახვის თაობაზე.

შოთა მალაშხია: „რუსეთი საქართველოს არჩევნებში სხვანაირად ერევა“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლოდროინდელ პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

– „ქართულ ოცნებას“ ბოლო დროს, სხვა პრობლემებთან ერთად, თავს დაატყდა ფარცხალაძე-თორდიას დაპირისპირება. შეიძლება, რომ ეს საკითხი საბედისწერო გახდეს მმართველი პარტიისათვის?

– ამ საკითხს ცალკე არ გამოვყოფდი. ფარცხალაძე-თორდიას კონფლიქტი იმ კრიმინალური ანკლავის ნაწილია, რომელიც საქართველოს სახელისუფლებო სისტემაში დამკვიდრდა. ადრე თუ გვიან, „ქართული ოცნებისათვის“ საბედისწერო გახდება ყველაფერი, რასაც ის აკეთებს. ადრეც მითქვამს, რომ ეს ხელისუფლება ცუდად დაამთავრებს, პროცესები კი ქუჩაში გადავა. იმ დროს, როცა მთავრობა, პარლამენტი, დედაქალაქის მერია იმართება სოლოლაკის შუშის სასახლიდან, რა გასაკვირია, რომ ბოტასების ქურდი, რომელიც ამავდროულად ყოფილი გენპროკურორია, კრიმინალურად მართავდეს გარკვეულ უწყებებს? მთელი სისტემა მუშაობს იმაზე, რომ პრივილეგირებულ პირებს „გაუპრავონ“ ქმედებები და დატაცებული ქონება. ამასობაში ხალხს ართმევენ არჩევანს.

– ხალხისთვის არჩევანის ჩამორთმევაში რას გულისხმობთ?

– შედგენილია გეგმა იმის შესახებ, როგორ დაუკარგონ ადამიანებს არჩევნებზე მისვლის სურვილი. ეს ჩადებულია იმ საკონსტიტუციო ცვლილებებშიც, რომელთა სახალხო განხილვა გრძელდება. კონსტიტუციაში ცვლილებები 1991 წლიდან შეგვაქვს. 1995 წელს მივიღეთ ახალი კონსტიტუცია, რომელიც შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა. ყველას ყველაფერი არასდროს მოგვწონებია, მაგრამ ასეთი განუკითხაობაც არ ყოფილა. ზოგს საპრეზიდენტო მმართველობა უნდა, ზოგს საპარლამენტო, ნაწილს – შერეული. ამაზე მუდმივად მიდის კამათი. ეს ნორმალურია, მაგრამ ნორმალურად ვერ ჩაითვლება ის, რასაც „ქართული ოცნება“ აპირებს.

– ფიქრობთ, რომ თუ ეს პროექტი დამტკიცდა, ხალხს არჩევნებზე მისვლის სურვილი დაეკარგება?

– რა თქმა უნდა! გამოკითხვები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას უნდა, პრეზიდენტი პირდაპირ აირჩიოს. ამის საშუალება ესპობა. გარდა ამისა, მთელ რიგ ქალაქებს ართმევენ თვითმმართველის სტატუსს, რაც ადგილობრივი არჩევნებისადმი გულგრილობას იწვევს. საარჩევნო ბარიერის არდაწევა, პარტიების გაერთიანების აკრძალვა და გამარჯვებული პარტიის მიერ ხმების მითვისება აზრს უკარგავს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას და ხმის მიცემას. „ქართულ ოცნებაში“ ამ ცვლილებებს თავგამოდებით იცავენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც 2012 წლამდე სამართლიანი არჩევნებისათვის იბრძოდნენ.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, გარკვეულ ჯგუფს საფუძვლიანად უმუშავია ხალხში აპათიის გაღრმავების გეგმაზე..

– ეჭვი არ მეპარება, რომ ასეთი გეგმა რუსეთშია შედგენილი. ცნობილია, რომ რუსეთი ჩაერია აშშ-ის, ასევე საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში. იქ რუსეთმა სხვა მეთოდები გამოიყენა. საქართველოს არჩევნებში რუსეთი სხვანაირად ერევა. 2012 წელს იყო სხვა ხერხები, მათ შორის – რაფალიანცის მკვლელობა. ამას უსინდისოდ აბრალებდნენ კონკურენტს, გიორგი ღვინიაშვილსა და მის პარტიას. ის, ვინც ამას აკეთებდა, დღესაც კულტურის მინისტრის მოადგილეა, საქმე კი არ გამოძიებულა.

– თქვენ მიერ ნახსენები ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა, საზოგადოებაში არც ახლაა აქტიურობა.

– ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ხალხი პასიური იყოს. პარტიების ნაწილი ფაქტობრივად დაშალეს. მაგალითად, „თავისუფალი დემოკრატები“, რესპუბლიკელები. ჩვენს ხალხში არჩევნებისადმი ყოველთვის იყო ინტერესი. საბჭოთა კავშირში პირველი მრავალპარტიული არჩევნებში საქართველოში ჩატარდა.

– პარლამენტის ბოლო არჩევნებზე ინტერესი არ ყოფილა. ეს არჩევნები თქვენც უარყოფითად შეაფასეთ. ამ პარლამენტში მილიონერებიც არიან..

– ეს პარლამენტი არ ასახავს ხალხის ნებას. იქ წარმოდგენილი მილიონერებიც ჯიბის გასქელებაზე არიან გადასული. ერთხელ გუბაზ სანიკიძემ რომ თქვა, ნეტავ, მილიონი მაშოვნინაო! ამ დეპუტატების ნატვრაც იგივეა – ახალი მილიონების შოვნა უნდათ. შექმნილი კრიმინალური ანკლავი და კორუფციული სქემები ამის შესაძლებლობას იძლევა.

– ხალხს ექნება რეაქცია?

– ხალხის განწყობა გეცოდინებათ. ადამიანები გულგატეხილი და განრისხებული არიან. არ მიკვირს, რომ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე ზალბერი არ გააძევეს და ანტიქართული განცხადებებისთვის სერიოზული პასუხი არ მოსთხოვეს. ზალბერს როგორ გამოაცხადებდნენ პერსონა ნონ გრატად, როცა ლუჟკოვი მიიღეს? შავ სიაში ლუჟკოვი დაგვიანებით შეიყვანეს, ისიც იმიტომ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ. ამ დროს მესამე პრეზიდენტს საქართველოში არ უშვებენ. ხალხი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მხოლოდ „ჰოპლას“ დაძახება უნდა.

– ხალხის განწყობა ახსენეთ. ადამიანებს სხვა პრობლემებზე მეტად სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის საკითხი აღელვებთ.

– სანამ ამას გავაპროტესტებდეთ, იქნებ, გაგვერკვია, რა მიზანი გვაქვს, შეგვიძლია თუ არა მიწის დამუშავება და პროდუქციის ეფექტიანად წარმოება? რატომ უნდა ეკუთვნოდეს მიწის დიდი ფართობები ფარცხალაძეს ან გოგაშვილს? იმიტომ, რომ ქართული გვარები აქვთ? იქნებ, ჯობდეს, მიწა დაამუშაოს პატიოსანმა და საქმიანმა ინვესტორმა, რომელიც ხალხსაც დაასაქმებს? არ უნდა დავემსგავსოთ ძაღლს თივაზე, რომელიც არც თვითონ ჭამს და არც სხვას აჭმევს.

რამაზ საყვარელიძე: „ნარმანიას აუდიტად დანიშვნა ხელისუფლებისათვის წამგებიანია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, როგორ აფასებთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, რომელიც უკავშირდება ფარცხალაძე-თორდიას საქმეს, ასევე გავრცელდა გენერალური აუდიტორის ამსახველი ვიდეო კადრები, საქმე ეხება 2016 წელს ერთ-ერთ კაფე-ბარში განვითარებულ მოვლენას. თორდია ამბობს, რომ ეს ვიდეო მას კარგად არ წარმოაჩენს, თუმცა, კითხვა ჩნდება, რატომ დღემდე არ იცოდა ამის შესახებ არაფერი საზოგადოებამ?

– მესმის ამ კითხვის არსი, რა მდგომარეობაში აგდებს მსგავსი ფაქტები, მსგავსი ვიდე თუ აუდიო ჩანაწერები ზოგადად ხელისუფლებას, უნდა გითხრათ, რომ ასეთი ფაქტები სახარბიელო მდგომარეობაში ნამდვილად არ აგდებს ხელისუფლებას. თუმცა, ხელისუფლება ინდივიდებისგან შედგება და ყველას, ცხადია, ინდივიდუალურ დანაშაულზე ინდივიდუალურად უნდა მოეთხოვოს პასუხი, მაგრამ სად დგება ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი? როდესაც საქმე ეხება გამოძიებას, რამდენად ადეკვატურია ამ დროს ხელისუფლება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალოვანი უწყებები? იყო ადეკვატური პროკურატურა?

თქვენ მკითხეთ, რატომ არაფერი არ იცოდა ამ ინციდენტის შესახებ 2016 წლიდან დღემდე საზოგადოებამ? დიახ, რატომ არ ვიცოდით არაფერი, და უნდა გაგვეგო, რატომ მაინცდამაინც დღეს?!

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება რამდენიმე თვეა რაც მიმდინარეობს.

– გასაგებია, მაგრამ რატომ ვიგებთ დღეს, ეს არის მნიშვნელოვანი კითხვა. რატომ არ ვიცოდით ამის შესახებ იმ დროს, როდესაც ეს ფაქტი აქტუალური იყო? ასეთი პატარ-პატარა ნიუანსები თუ დეტალები, როგორც იტყვიან, ერთიანობაში ხელისუფლებას არ აყენებს კარგ მდგომარეობაში.

რა თქმა უნდა, დანაშაულს ჩადიან ამერიკის შეერთებული შტატებისა თუ ევროპის მაღალი დემოკრატიის ქვეყნების ჩინოვნიკებიც, ამისგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ იქ ამ დროს ხელისუფლება დგას მოწოდების სიმაღლეზე, პირუთვნელად იქცევა. თუ ხელისუფლებამ რაღაცას წაუყრუა, მაშინ საზოგადოება და ა.შ. ეს განგვასხვავებს სწორედ.

ისევ კონკრეტულ ჩანაწერს რომ დავუბრუნდეთ, ის კადრები რომელიც გავრცელდა ინფორმატიული არ არის, ვერაფერს ვერ გაიგებ იქიდან ადამიანი, მხოლოდ ვხედავთ, როგორ დარბის თორდია. არა სამუშაო დროს ვინც არ უნდა იყოს, ყველას აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ იყოს, კაფეში იქნება თუ ეზოში, მაგრამ თუ დანაშაულს ჩადის, ეს უნდა აღიკვეთოს და შემდეგ ამაზე უნდა იმსჯელოს სასამართლომ. თუ დანაშაული არ არის ჩადენილი, მაგრამ მაინც საჯარო მოხელისთვის შეუფერებელ ქცევასთან გვაქვს საქმე, იქ უკვე პოლიტიკური პასუხისმგებლობა დგება. აქ უკვე ამომრჩეველი იღებს გადაწყვეტილებას.

– თორდიას გენერალური აუდიტორის პოზიციაზე უფლებამოსილების ვადა ივნისში ეწურება. მის შემცვლელად, არაოფიციალური ინფორმაციით, უკვე დასახელდა ნარმანია, რაც მას არ უარუყვია. როგორ შეაფასებთ ამ გადაწყვეტილებას თუ მართლაც მოხდა ეს ცვლილება?

– გენერალურ აუდიტორად დავით ნარმანიას დანიშვნა შეიძლება წამგებიანი აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის.

– რატომ?

– ნარმანიას მოღვაწეობას მერის პოსტზე მაღალი შეფასება არა აქვს მოქალაქეების მხრიდან. მთავარი პრეტენზია რა არის დღეს მის წინააღმდეგ, რომ გარკვეულ კორუფციას აქვს ადგილი, ვგულისხმობ მიწების გადაფორმების საქმეებს. გენერალური აუდიტორის მთავარი ფუნქცია კი რა არის, სახელმწიფო ქონების, ბიუჯეტის რევიზია, რამდენად მიზნობრივი იყო ხარჯები და კორუფციის ფაქტებს ხომ არა აქვს ადგილი? და ა.შ. რამდენად შეძლებს ამ ყველაფერზე პასუხისგებას ის პირი, რომელთანაც აქვთ კითხვები? ისე საინტერესოა, ამ მხრივ როგორ დასრულდება ფარცხალაძის საქმე, რომელსაც ახლა პროკურატურა სწავლობს.

ბულაჩაურის ქუჩაზე ავარია მოხდა

თბილისში, ბულაჩაურის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს „ნისანის“ ტიპის ორი ავტომობილი შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომობილების მძღოლები დაშავდნენ. ისინი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სააპელაციო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ადოკატები დაუბრუნა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

წრეებენ დროს? ნახავთ, თავად დაიხევენ უკან, – ვარაუდობს ადვოკატი.

საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მამა გიორგი 50 მილიონი ევროს გათეთრებას აპირებდაო.

22 მაისს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ განცხადების გამო მამა გიორგი ედიშერ ქარჩავას სასამართლოში უჩივის. საპატრიარქოს განმარტებით, სასულიერო პირს საერო სასამართლოში ჩივილის უფლება არა აქვს.

მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ ქარჩავას მამა გიორგი არ უჩივის.

– საპატრიარქოს სასულიერო პირი არ უჩივის. ბატონ ედიშერ ქარჩავას მე ვუჩივი სასამართლოში. როგორც ის არის საპატრიარქოს წარმომადგენელი, ასევე ვარ მე მამაოს წარმომადგენელი. მღვდელმსახურების გარდა, ყველა უფლებამოსილება არის ჩვენზე. მე რა, დაცვის უფლებას მართმევენ? ამ უფლებას ვერავინ წამართმევს, – აღნიშნა ადვოკატმა.

მისი]ოქმით, ის ვალდებულია საპატრიარქოს წარმომადგენელს უჩივლოს, რათა დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები სრულად დაიცვას.

– ედიშერ ქარჩავას აუცილებლად მოუწევს ცილისწამებაზე პასუხის გაცემა. ამიტომაც ვთქვი, რომ დროს ვინც გაასწრებს, ის ყოველთვის წაგებული დარჩება, – განაცხადა რამიშვილმა.

„საფინანსო კომპანია „საქართველომ“ 2.300 მეანაბრე დააზარალა“

საქალაქო სასამართლოში საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დამფუძნებლის, მერაბ ფერაძის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. კომპანიის დაზარალებული მეანაბრეების უფლებადამცველი აცხადებს, რომ არაპირდაპირი გზით პროკურატურა ფერაძეს ათეთრებს. სასამართლოზე 1.700 კაცია დასაკითხი, 9-თვიანი პატიმრობის ვადა სრულდება და ფერაძეს მალე პატიმრობიდან გაათავისუფლებენ.

აქვს თუ არა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ მეპატრონეს ფერაძეს მეანაბრეების ფული ჩამარხული ან ოფშორებში შენახული? კომპანიის დაზარალებულ მეანაბრეთა ჯგუფი აცხადებს, რომ მათსა და დროებით დაპატიმრებულ ფერაძეს შორის ვერტიკალი ხელისუფლებაა და ხელისუფლებაა ვალდებული ეძიოს, ფერაძეს სად, რა აქვს ჩამარხული.

გულიკო ბალაძე

თათია ომარაშვილი, დაზარალებული მეანაბრე.

– არ მინდა ფერაძეს ჩემი ინტერვიუთი მდგომარეობა დაუმძიმდეს. თვითონ ხელისუფლებაც მიგვანიშნებს, რომ ფერაძეს სადმე გადამალული ან ჩამარხული ფული თუ აქვს, აღარ გამოაჩენს, თუ მას მიუსჯიან. ჩვენსა და დროებით დაპატიმრებულ ფერაძეს შორის ვერტიკალი ხელისუფლებაა.

– ეს რას ნიშნავს?

– სასამართლო პროცესები მიმდინარეობს და, მეანაბრეები არ ვართ ვალდებული, ვიძიოთ, ფერაძეს სად, რა აქვს ჩამარხული.

– ფიქრობთ, რომ ფერაძეს ფული ან ძვირფასეულობა ჩამარხული აქვს?

– პირადად მე არ ვფიქრობ, რადგან მტკიცებულებაა საჭირო, მაგრამ დაზარალებულებში ასეთი აზრი მუსირებს. შეიძლება ოფშორებშიც ჰქონდეს, რადგან დავალიანება 30 მილიონია. 6 თვე სრულდება და ფინანსურმა საგამოძიებო ორგანომ ვერ დააზუსტა, რამდენი აქვს ვალი.

– ქონება ხომ აქვს?

– 12 მილიონის აქტივები აქვს.

– თავის დროზე არ დადგინდა, მეანაბრეების ვალი რამდენი აქვს?

– თვითონ ფერაძე აცხადებს, რომ 12 მილიონი აქვს გადასახდელი. საფინანსოს რევიზორები აღნიშნავენ, რომ 28% შესულია საფინანსო კომპანიაში და 27% გაცემული აქვს. 30 მილიონს ედავებიან. 2.300 მეანაბრეა დაზარალებული. აქედან, ვთქვათ, 300 მეანაბრე რეგიონებშია, ჩვენ შორის კომუნიკაცია არ მყარდება, მაგრამ 1.500 ადამიანს, ასეა თუ ისე, კომუნიკაცია გვაქვს.

– ამას თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

– მეანაბრეების ნაწილი ითხოვს, ფერაძეს მიესაჯოს და ციხეში იყოს, ან რაც აქვს დამალული და ჩამარხული, გამოაჩინოს.

– თუ ციხეში ჩასვამენ, ფულს რატომღა გამოაჩენს?

– აზრი მრავალნაირად იყოფა. ვიღაც დაინტერესებულია, მეანაბრეების ამხანაგობების შექმნით და იმ აქტივების მართვით, რაც აქვთ, სხვადასხვა აზრის გავრცელებით მეანაბრეების დაქსაქსვა ხდება. თუ ვიტყვით, რად გვინდა ფერაძე ციხეში, ოღონდ ფული გამოაჩინოსო, ზოგი ამას ეწინააღმდეგება. მტკიცებულებებით უნდა დამტკიცდეს, რომ დამნაშავეა.

ფერაძეს სახელისუფლებო წრეებში მფარველი რომ არ ჰყოლოდა, ორი მონსტრის მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის ხელში 9 წელი ასე ვერ გაიჯეჯილებდა.

– ამბობენ, კომპანიას ქადაგიძე მფარველობდა და ფულიც მან გაიტანა, როცა მიდიოდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდანო.

– ქადაგიძის დროს, 2012 წელს, საფინანსო კომპანიაში საფინანსო სამსახური შევიდა. პრობლემები იყო და ჩაიფარცხა. ახლა ფერაძე მეანაბრეების მიერ შეტანილი საჩივრების გამო დააკავეს. ფერაძე აქვს ორი მოქალაქეობა, რუსეთისა და საქართველოსი. გაქცევის საშიშროება იყო, ამიტომ პროკურატურამ დააკავა. სასამართლოზე შეიძლება გამოიყენოს, როგორც რუსეთის მოქალაქეობის უფლებაც.

– ვინმე დაინტერესებული არ არის, რომ მოქალაქეებს თავისი ფული დაუბრუნდეთ?

– არა. ჩვენსა და ფერაძეს შორის ვერტიკალი ხელისუფლებაა.

– ხელისუფლება რატომ არ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ფერაძემ მეანაბრეებს ფული დაუბრუნოს?

– კანონი არ გულისხმობს იმას, რომ ფერაძის ვალი სახელმწიფომ გადაიხადოს.

– დროებითი მმართველის შეყვანას ხომ მოითხოვდით? რატომ ვერ მოხერხდა დროებითი მმართველის შეყვანა?

– ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

– სასამართლო პროცესი როგორ მიმდინარეობს?

– სასამართლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილი არ ვარ. პროკურორის მიდგომები ჩემთვის მიუღებელია, დემოკრატიის პრინციპი ირღვევა.

– რა დემოკრატიის პრინციპი ირღვევა?

– შეჯიბრობითობის პრინციპი დარღვეულია.

– პროკურორი პასიურობს?

– არა. როგორც ბრალდებულს აქვს უფლება, მოწმეს დაუსვას კითხვები, ისე უფლება აქვს იცოდეს, მოწმედ ვინ არის გამოძახებული. ბრალდებულმა არ იცოდა, პროცესზე მოწმედ ვინ ჰყავდათ გამოძახებული. ამის გამო მოუმზადებელი იყო. შეჯიბრებითობის პრინციპი დარღვეული არ არის? საქმის მასალებს ჩვენც კი არ ვიცნობთ.

– საქმის მასალებს არ იცნობთ?

– ჩვენმა ადვოკატმა მოითხოვა და არ მისცეს. საქმის გადმოცემა ჩვენ რომ არ მოგვეთხოვა, პროკურორს უნდა შემოეთავაზებინა. შეიძლება სხვა ჯგუფს გადასცა. საქმის მასალებს არც ჩვენი უფლებადამცველი გასცნობია. როცა პროკურორი იძახებს სამ რევიზორს მოწმის სახით სასამართლოზე და ამ დროს ბრალდებული აცხადებს, მე რატომ არ გამაფრთხილეთო, ეს დარღვევა არ არის. არც ადვოკატი გააფრთხილა.

– პროკურორი თუ იცავს თქვენს უფლებებს?

– ჩვენს უფლებებს პროკურორი არც იცავს და არც არღვევს. რაღაც სიებს ადგენს, ვინ უნდა დაიკითხოს და ვინ – არა. ახლობლური და მჭიდრო კავშირი აქვს დაზარალებულებთან. პროკურორმა კეთილი ინებოს და მხოლოდ ის მოწმეები კი არ გამოიძახოს, ვინც ფერაძის არგამოშვების მომხრეა (უნდა, ამხანაგობა შექმნას და 12 მილიონის ქონება მართოს), არამედ სხვებიც. მე სურვილი მაქვს, მოწმედ დავიკითხო. ამიტომ უწყება უნდა გამომიგზავნონ.

12 მიცვალებული გვყავს, ერთმა მტკვარში დაიხრჩო თავი, თურმე მეუღლეს არ სცოდნია, ფული რომ ჰქონდა ამ კომპანიაში შეტანილი. სამი კაცი ფსიქიატრიულშია. მწუხარებაში ვართ, უბედურება მოხდა, ამდენი ადამიანი გაუბედურდა. არიან ისეთებიც, რომელთა დაავადება პროგრესირდა. მძიმე ავადმყოფები და ლოგინს მიჯაჭვულები არიან. 5 ადამიანი ინსულტისა და ინფარქტის მსხვერპლი გახდა. რეაბილიტაციის ცენტრშიც არის ჩვენი ხალხი და იმის საშუალებაც არ აქვთ, იმკურნალონ.

საფინანსო კომპანიის დაზარალებულების უფლებადამცველი **მამუკა ტუსკაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ სახელმწიფომ ფერაძის ხელით 2.300 მოქალაქე გაძარცვა.

– სახელმწიფომ ფერაძის ხელით 2.300 მოქალაქე გაძარცვა.

– სახელმწიფომ როგორ გაძარცვა?

– ზუსტად იცოდა, რომ ფერაძე ეწეოდა უკანონო ბიზნესს, მაგრამ ხელს არ უშლიდა. შეეძლოთ შეეწყვიტათ ფერაძის თავნებობა. ზუსტად იცოდნენ (საფინანსო კომპანია „საქართველო“), ეს იყო ფინანსური პირამიდა, მაგრამ რადგან კანონში არ წერია, რომ ფინანსური პირამიდა იკრძალება, არ დაიწყეს იმთავითვე მისი ჩარჩოებში მოქცევა.

– ეროვნულმა ბანკმა?

– ეროვნულ ბანკს ჰქონდა უფლებამოსილება, მაგრამ ეს არ გააკეთა. ეროვნული ბანკის მეშვეობით ჩაიდინეს დანაშაული. როდესაც ფერაძე დააკავეს, ბიზნესი შეუწყვიტეს. პირამიდა ბიზნესი იყო და დაინგრა დომინოს პრინციპით.

– ამ ვითარებაში სახელმწიფოს რა შეუძლია?

– სახელმწიფო ვალდებულია მისი ქვეყნის ყველა მოქალაქის ბედზე იზრუნოს. თითოეული მოქალაქის ბედი, განსაკუთრებით, სოციალურ საკითხებზე სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს. თუ გამოვალთ პრინციპიდან, რომ სახელმწიფოს საფუძველი და ხელისუფლების წყარო ხალხია, ხელისუფლება ვალდებულია ეს გაითვალისწინოს და გაატაროს შემდეგი ღონისძიებები: დაიწყოს ამ ბიზნესის მართვა თვითონ, გამოუყოს თავის თავს გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი კრედიტი და დაიწყოს დაზარალებულების გასტუმრება.

– იმ ქონებით შეუძლებელია გასტუმრება, რაც ფერაძეს გააჩნია?

– ქონება გასასტუმრებელი თანხის დაახლოებით 20%-ია. სახელმწიფოს ასევე შეუძლია კომპანიაზე დარიცხული ზედმეტი გადასახადები მოხსნას. „რუსთავი-2-ს“ 5 მილიონი ჩამოაწერეს, არ შეიძლება საფინანსო კომპანია „საქართველოს“ 1 მილიონი ჩამოაწეროს დაზარალებული ხალხის გამო?

– რამდენი აქვს გადასახადი კომპანიას?

– 2 მილიონი.

– ფერაძეს ხალხისთვის რამდენი აქვს გადასახდელი?

– 76 მილიონი. თუმცა, ეს ციფრი არასწორია, გაბერილია. 2007 წლიდან ვინ შეიტანა თანხა და თუ რაიმე ბრუნვა ჰქონდა, ყველა აღნუსხულია. სინამდვილეში ვიღაცამ გაიტანა თანხა და აღარ შეუტანია. ვიღაცამ თანხა გაიტანა, მაგრამ 1 ლარი დარჩა და იმ 1 ლარის პროცენტი ირიცხება.

– სასამართლო პროცესები როგორ მიმდინარეობს?

– სასამართლო პროცესები არის დადგმული სპექტაკლი.

– პროკურატურა დაზარალებული მეანაბრეების ინტერესებს არ იცავს?

– პროკურატურა (პირდაპირ ვადანაშაულებ) მეანაბრეების ინტერესებს არ იცავს.

– აბა, ვის ინტერესებს იცავს?

– სახელმწიფოსა და ფერაძის ინტერესებს იცავს.

– პროცესზე ფერაძის წინააღმდეგ გამოდის და ფერაძეს როგორ იცავს?

– არაპირდაპირი გზით პროკურატურა ფერაძეს ათეთრებს. 1.700 კაცის დაკითხვა მოითხოვა, 9-თვიანი პატიმრობის ვადა სრულდება და ფერაძეს მალე პატიმრობიდან გაათავისუფლებენ, რადგან პროკურატურამ არასწორად იმუშავა შეგნებულად, თორემ პროკურატურაში ძალიან ჭკვიანი ადამიანები მუშაობენ.

– ფერაძეს არ მიუსჯიან?

– ფერაძეს მიუსჯიან, მაგრამ მერე რა?

– მაშინ, ფერაძის „გათეთრება“ რაში მდგომარეობს?

– იმაში მდგომარეობს, რომ გადასახდელი არ ექნება სწორად. ფერაძე გარეთ უნდა გამოუშვან და დაავალდებულონ ბიზნესის ამუშავება, ხელი შეუწყონ, ან ბიზნესები გადაუფორმოს სახელმწიფოს, სახელმწიფოს წარმომადგენელი მმართველად დანიშნონ, იმუშაონ და ხალხის ვალი გაისტუმრონ. სახელმწიფო ამბობს, ხელშეკრულება გაფორმებული იყო ორ კერძო პირს, ფერაძესა და მეანაბრეებს შორის და რაც გინდათ, ქენითო.

– პირად ანგარიშსწორებას ხომ არ მიმართავენ, სასამართლოზე ხომ იხილება, არ უნდა დააბრუნებინონ თანხები?

– სასამართლო დააკისრებს, მაგრამ მერე რა? ფერაძეს ეს ვალი მთელი ცხოვრების მანძილზე ექნება.

– პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტ ქადაგიძეს არ დაეკისრება, უკანონო ბიზნესი რომ იყო? ამბობენ, ფერაძეს ვიღაც მფარველობდა და მფარველობსო?

– უფლებადამცველები ვფიქრობთ, როგორმე დავაკისროთ პასუხისმგებლობა ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტს.

– მეანაბრეებმა თქვეს, სასამართლო პროცესებზე ფერაძის უფლებები ირღვევაო.

– ეს ყველაფერი ბლეფია, არაფერი ირღვევა. თვითონ ფერაძეა თაღლითი. სახელმწიფომაც ხელი შეუწყო, ბევრი მოეპარა. ფერაძე და სახელმწიფო ერთნაირი თაღლითები არიან.

საგამოძიებო სამსახურმა საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დამფუძნებელი მერაბ ფერაძე გასული წლის დეკემბერში მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა. ბრალად მოქალაქეთა კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად გაფლანგვის ფაქტი ედება. ფერაძესთან ერთად დააკავეს შპს „საფინანსო კომპანია საქართველოს“ დირექტორი თამაზ ლობჟანიძე. კომპანია ჯერ 2007 წელს, ხოლო მეორედ იმავე სახელწოდებით 2013 წლის 14 აგვისტოს მერაბ ფერაძის მიერ დარეგისტრირდა. მის საქმიანობას წარმოადგენდა მოსახლეობისგან მაღალი საპროცენტო განაკვეთით თანხის მიღება. კლიენტთა მოზიდვის მიზნით, ორგანიზაცია აქტიურ სარეკლამო კამპანიას აწარმოებდა. შედეგად მოქალაქეებმა სახლ-კარიც კი გაყიდეს და თანხები შეიტანეს საფინანსო კომპანიაში.

საფინანსო კომპანია „საქართველოს“ დირექტორმა თამაზ ლობჟანიძემ, მერაბ ფერაძის ორგანიზებით, ნაცვლად იმისა, რომ ეწარმოებინა მომგებიანი საქმიანობა, არამიზნობრივად გახარჯა აღნიშნული თანხები, კერძოდ, ყოველგვარი უზრუნველყოფისა და ეკონომიკური გათვლების გარეშე, გასცა სესხები როგორც თავად მერაბ ფერაძის სახელზე, ასევე მის საკუთრებაში არსებულ არამომგებიან საწარმოებზე. ჯამში, სესხის სახით მერაბ ფერაძეზე გაცემულ იქნა მეანაბრეთა მიერ შეტანილი 10.326.096 ლარი, 13.292.949 აშშ დოლარი და 796.136 ევრო, ხოლო შპს „განთიადზე“ – 382.324 ლარი და 108.300 აშშ დოლარი. შპს საფინანსო კომპანია „საქართველოსგან“ მიღებული თანხა მერაბ ფერაძემ არ დააბრუნა და გამოიყენა პირადი მიზნებისთვის, რის გამოც მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიადგა კომპანიის 2.648 მეანაბრეს და მათ მიერ კომპანიაში ანაბრის სახით შეტანილი თანხა ამ დრომდე დაუბრუნებელია. ამჟამად საფინანსო კომპანიის დავალიანება მეანაბრეთა მიმართ შეადგენს 76.000.000 ლარს. გამოძიებამ თავის დროზე დააყადაღა თამაზ ლობჟანიძის, მერაბ ფერაძის, მათი ოჯახის წევრებისა და ნათესავების უძრავ-მოძრავი ქონება, საწარმოთა წილები და ანგარიშები. ჩატარდა სხვადასხვა საცხოვრებელ სახლებსა და ოფისებში ჩხრეკა და აქტიურად ტარდებოდა მოქმედებები დამნაშავე პირთა მიერ შესაძლო გადამალული ქონების აღმოჩენის მიზნით. ფერაძეს ბრალი ედება სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე პატიმრობას.

bp

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 26 მაისი.

„პამ კლუბის“ მენეჯერი: „გიორგი კალაძე კლუბში არ მუშაობდა“

„პამ კლუბის“ მენეჯერი მარიამ შიოშვილი აცხადებს, რომ გიორგი კალაძე კლუბში არ მუშაობდა. შიოშვილი გამოეხმაურა კალაძის ადვოკატის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ გიორგი კალაძე ლაშა თორდიას მიერ ბარში განხორციელებული ქმედების გამოძიებას ითხოვს.

– არ ვაპირებ თქვენთან თანამშრომლობას. ჩვენება მიცემული მაქვს და სამართალდამცველებმა ყველაფერი იციან. გიორგი კალაძეს ამ დაწესებულებაში არასოდეს უმუშავია, – განაცხადა შიოშვილმა.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ჩხუბობს გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია ერთ-ერთ ბარში. თორდია ადასტურებს, რომ ინციდენტს ადგილი ჰქონდა, თუმცა დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებს.

ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარის „პამ კლუბი“ თანამშრომელმა ლაშა თორდიას იდენტიფიცირება ფარცხალაძე-თორდიას კონფლიქტის ამსახველი ვიდეოს შემდეგ მოახდინა, – ამის შესახებ გიორგი კალაძის ადვოკატმა, ცოტნე ცანავამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი აცხადებს, რომ 2016 წლის 24 დეკემბერს ღამე, მთვრალი პირი არაადეკვატური მოქმედებებით გამოირჩეოდა.

– მოხდა შელაპარაკება ამ დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელთან, ხმის ოპერატორთან და ერთ-ერთმა პირმა მას სთხოვა მუსიკისთვის ხმა მოემატებინა.

ის გაიყვანეს ბარიდან, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ბარში იარაღით და განახორციელა მუქარა მის მიმართ, ასევე უმისამართოდ ატრიალებდა იარაღს, რამაც გამოიწვია დაძაბული სიტუაცია. მეორე დღესვე მიმართეს აღნიშნული ბარის თანამშრომლებმა, მათ შორის გიორგი კალაძემ საგამოძიებო ორგანოებს, მოხდა მათი გამოკითხვა, გამოძიებას გადასცეს ვიდეოჩანაწერი, – განაცხადა ადვოკატმა.

მისივე განმარტებით, იმ პერიოდისთვის მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ვერ მოახდინა იდენტიფიცირება და პირის სახელის და გვარის მითითება.

– თუმცა, მას შემდგე, რაც ტელევიზიით გავრცელდა კადრები ფარცხალაძე-თორდიას მონაწილეობით, მერე ამოიცნო პირი, რომელმაც მოახდინა იარაღით ხალხის დაშინება. არავითარ კავშირში ეს არ არის ფარცხალაძე-თორდიას საქმესთან და არავითარი შემხებლობა და ინტერესი არ გაგვაჩნია, ეს საქმე როგორ დასრულდება. ჩვენი მოთხოვნაა მოხდეს გიორგი კალაძის უფლებების დაცვა და რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად მოხდეს ფალიაშვილის ბარში მომხდარი ინციდენტის გამოკვლევა, – განაცხადა ცოტნე ცანავამ. მისივე თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი განმარტავს, რომ გასროლა არ მომხდარა, თორდია იარაღს ატრიალებდა უმისამართოდ.

თამბაქოს ყალბი აქციზური მარკების დამზადება-გასაღების ბრალდებით 3 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ყალბი აქციზური მარკების დამზადება-გასაღების ფაქტზე, თურქეთის ორი და საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა უახლესი პოლიგრაფიული ტექნოლოგიების გამოყენებით, დაამზადეს თამბაქოს ნაწარმისთვის განკუთვნილი, 46.000 ერთეული ყალბი ქართული აქციზური მარკა, რომლის ნამდვილი აქციზური მარკისგან გარჩევა სპეციალური მოწყობილობის გამოყენების გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებულები დააკავა აღნიშნული ყალბი აქციზური მარკების რეალიზაციის დროს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით.

შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის 2 ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ირაკლი ხახუბიას შვილის ავტოსაგზაო შემთხვევის საქმეზე, რასაც ბექა ხახუბია ემსხვერპლა, შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის 2 ხელმძღვანელი პირი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ორივე პირი გამოძიების დასრულებამდე კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი.

როგორც სამინისტროში განმარტეს, აღნიშნული გადაწყვეტილება იქედან გამომდინარე იქნა მიღებული, რათა გამოძიებას ხელი არ შეეშალოს.

17 მაისს გამთენიისას გორის გვირაბთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ვაჟი, 21 წლის ბექა ხახუბია დაიღუპა. ავარიის მეორე დღეს, ყოფილმა პოლიციელმა ზვიად კუპრავამ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბექა ხახუბია საპატრულო პოლიციის დევნის ოპერაციისას დაიღუპა.

თურქეთში ქართველი ქალი მოკლული იპოვეს

თურქეთში 34 წლის ქართველი ქალი მოკლული იპოვეს. თურქული მედიის ინფორმაციით, იგი ფაცის რაიონში ყელგამოჭრილი იპოვეს, ხოლო დანაშაულში ეჭვმიტანილი ტრაპზონში დაიკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქართველოს საკონსულოში შესულია შეტყობინება თურქეთის პოლიციის მხრიდან. შესაბამისად, საკონსულო მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფება როგორც მოკლულის ოჯახის წევრებთან, ისე ადგილობრივ სამართალდამცველებთან. გარდაცვლილის საქართველოში გადმოსვენების პროცედურებზე მუშაობა მიმდინარეობს.

ოზურგეთში „ბოლო ზარზე“ 4 მოსწავლე დაშავდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში მომხდარი ავარიისას 4 მოსწავლე დაშავდა. ავტოსაგზაო შემთხვევა დღეს, ე.წ. „ბოლო ზარის“ აღნიშვნის შემდეგ მოხდა, – მეთორმეტე კლასის მოსწავლეები სკოლის დამთავრებას ტრადიციულად, მსუბუქი მანქანებით „გასეირნებით“ აღნიშნავენ.

როგორც „გურიის მოამბეს“ ოზურგეთის „მედალფას“ მენეჯერმა, დავით მდინარაძემ განუცხადა, კლინიკაში 4 მოსწავლეა მიყვანილი, რომლებსაც სხვადასხვა მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებათ, მისივე თქმით, – „დიდი ალბათობით, არც ერთი მათგანის ჰოსპიტალიზირება საჭირო არ არის“.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამობრუნდა. მოსწავლეებმა კი მსუბუქი დაზიანებები მიიღეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ნათია წკეპლაძე: „გელა მიქაძის წინააღმდეგ სამოქალაქო დავები საქართველოშიც მიმდინარეობს“

– ჩემი იურიდიული კომპანიის მხრიდან საქართველოს პარლამენტის წევრ გელა მიქაძის წინააღმდეგ სამოქალაქო დავები საქართველოშიც მიმდინარეობს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ RAKIA GEORGIA-ის იურისტმა ნათია წკეპლაძემ განუცხადა. მისი თქმით, არასოლიდურია მიქაძის ადვოკატის შეფასება გაერთიანებული საემიროების სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებით.

წკეპლაძე აღნიშნავს, რომ მხარეებს საქმის მასალები კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარდა, რაც პროცესუალური მომზადებისთვის საკმარისი დროა. იურისტი იმედოვნებს, რომ დეპუტატ მიქაძის წინააღმდეგ საქართველოში წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს.

– საქმე ეხება ათეულობით მილიონ ამერიკულ დოლარს. ჩემი იურიდიული კომპანიის მხრიდან საქართველოს პარლამენტის წევრ გელა მიქაძის წინააღმდეგ სამოქალაქო დავები საქართველოშიც მიმდინარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ მილიონობით თანხა და ქონებაა მითვისებული, ვიმედოვნებთ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

არასოლიდური განაცხადია, როდესაც ამბობენ, სასამართლო მიკერძოებული იყო ან არ იყო მიკერძოებული. ამისთვის არსებობს პროცედურული უფლებები, მხარეს უნდა მიეღო პროცესში მონაწილეობა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე და თუ ამას ვერ უზრუნველყოფდა, მერე შეიძლებოდა სასამართლოს ობიექტურობის შეფასება. ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, მეორე მხარეს კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარდა შეტყობინება და პროცესუალურად მომზადებისთვის საკმარისი დრო ჰქონდათ, – განაცხადა ნათია წკეპლაძემ.

კომპანია ღაყსტარ თრადე-სთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე RAKIA GEORGIA დღეს ოფიციალურ განცხადებას გაავრცელებს.

საქართველოს პარლამენტის წევრს „პატრიოტთა ალიანსიდან“ გელა მიქაძეს არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლომ 17,2 მილიონი აშშ დოლარის მითვისების ბრალდებით 15-წლიანი პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯა. არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, რას ალ ხაიმას სისხლის სამართლის სასამართლომRAKIA-ს ყოფილ ხელმძღვანელს ხატერ მასაადსა და ღიკlი-ს ორ ყოფილ აღმასრულებელ პირს, გელა მიქაძესა და გიორგი ჯანაშიას, ფულადი სახსრების მითვისებისთვის, დაუსწრებლად 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამის შესახებ ინფორმაციას Gulf Business ავრცელებს. გარდა ამისა, მასაადმა, ასევე გელა მიქაძემ და გიორგი ჯანაშიამ, რომლებიც RAKIA Georgia-ში მუშაობდნენ, ჯარიმის სახით 17,2 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადონ.

ნარკოტიკის გასაღება ინტერნეტით – დაკავებულია რუსეთის ორი მოქალაქე

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე: 1980 წელს დაბადებული დმიტრი უ. და 1974 წელს დაბადებული ვიტალი ლ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და უკანონო გასაღების მცდელობის ბრალდებით, თბილისში დაიკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას ახდენდნენ. ისინი შეკვეთებს ინტერნეტსაიტის მეშვეობით იღებდნენ და ნარკოტიკებს თბილისის სხვადასხვა უბანში, კონკრეტულ მისამართებზე ტოვებდნენ.სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული 186 შეკვრად დაფასოებული 333,15 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“, 2 შეკვრად დაფასოებული ამფეტამინი, ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი 177 აბი და 2 ნატეხი ამოიღეს. პოლიციამ, ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი ბინისა და ავტომანქანის ჩხრეკისას, 1 კილო და 540,25 გრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება – ე.წ. „ბიო“; 887,74 გრამი ამფეტამინის შემცველი ფხვნილი; ნარკოტიკული საშუალება „მდმა“-ს შემცველი 91 აბი და 29 ნატეხი ამოიღო.

გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, სხვადასხვა მისამართიდან ამოღებულია ბრალდებულების მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული 22 შეკვრა ე.წ. „ბიო“.

ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით).

საია-მ მთავარ პროკურატურას მიმართა

საია-მ დღეს მთავარ პროკურატურას მოსამართლე ნატა ნაზღაიძის ძმის ზვიად ნაზღაიძის საქმეზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

საია-ს იურისტმა, სულხან სალაძემ მთავარ პროკურატურას ზვიად ნაზღაიძისთვის ქონების ჩამორთმევის და პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად ქონების გადაცემის კანონთან შესაბამისობის საქმეზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა და შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინა. როგორც სულხან სალაძემ აღნიშნა, ამ დრომდე არ არსებობს ინფორმაცია გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით.

– მიმდინარე წლის მარტში, როდესაც ნაზღაიძის საქმესთან დაკავშირებით ჩვენი კვლევა გამოვაქვეყნეთ, ვსაუბრობდით, რომ ეს საქმე თბილისის მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან შეიცავს სავარაუდო დანაშაულის ნიშნებს და ამ საქმეზე აუცილებლად უნდა დაწყებულიყო გამოძიება.

თუმცა, ამ დრომდე არ არსებობს ინფორმაცია გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად მიმდინარეობს თუ არა გამოძიება და რა ეტაპზეა ის. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად ზედაპირზე იყო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ზვიად ნაზღაიძესთან, ერთი მხრივ, ქონების ჩამორთმევასთან და, მეორე მხრივ, ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემასთან. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ უშუალოდ საია-ს ინიციატივით მიგვემართა მთავარი პროკურატურისთვის და მოგვეთხოვა: გაავრცელოს ინფორმაცია, დაწყებულია თუ არა ამ საქმეზე გამოძიება და თუკი ამ საქმეზე გამოძიება დაწყებული არ არის, ასეთ შემთხვევაში დაიწყოს გამოძიება ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე და შემჭიდროებულ ვადებში გვაცნობოს გამოძიების დაწყების შესახებ, – განაცხადა სულხან სალაძემ.

როგორც სალაძემ განმარტა, საია დღევანდელი მიმართვის საფუძველზე მოითხოვს გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებას, ან გამოძიების დაწყებას თუ დაწყებული არ არის.

ტერეზა მეი: „მანჩესტერის ტერაქტი შესაძლოა უკანასკნელი არ იყოს!“

მანჩესტერის ტერაქტის შედეგად დაღუპულია 22 ადამიანი. აქედან უმრავლესობა თინეიჯერია. არიან ბავშვებიც.

ასაფეთქებელი მოწყობილობა მოქმედებაში მოიყვანა ტერორისტმა-კამიკაძემ, სალმან აბედმა. ჯერ დაუდგენელია მთავარი: ჰყავდა თუ არა მას თანამზრახველები.

ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ძნელი წარმოსადგენია, ტერორისტი მარტო ყოფილიყო. სავარაუდოდ, მას ჰყავდა თანამზრახველი, ან თანამზრახველები, რომლებიც კონცერტს ესწრებოდნენ.

– როგორც ჩანს, ქვეყანაში იმყოფება ადამიანების ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც კავშირი აქვს ექსტრემისტებთან და ტერაქტებს ამზადებს, – თქვა მეი.

პრემიერ-მინისტრმა ახალი ტერაქტების ალბათობა არ გამორიცხა და აღნიშნა, რომ აუცილებელია უსაფრთხოების ზომების გაძლიერება. ამიტომ ბრიტანეთის ქალაქების პატრულირებას პოლიციასთან ერთად არმიის ნაწილებიც განახორციელებენ, ინგლისის კონტრდაზვერვა კი თავის ღონისძიებებს გააძლიერებს.

– ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ტერაქტები თავიდან ავიცილოთ, თუმცა ეს იოლი როდია. არ მინდა, ჩვენი მოსახლეობა შევაშინო, მაგრამ მანჩესტერის ტერაქტი უკანასკნელი არ იქნება! – ამბობს მეი.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტერორისტებს აუცილებლად გაანადგურებენ.

– ისინი ცდილობენ შეგვაშინონ, მაგრამ ეს შეუძლებელია! მათ აუცილებლად გავანადგურებთ! ბრიტანეთის მკვიდრთ კი მოვუწოდებ, გამოიჩინონ სიფხიზლე და ამ დიდ ბრძოლაში გვერდში ამოგვიდგნენ, – განაცხადა მეიმ.

ჯონ ბრენანი: რუსეთი ამერიკის არჩევნებში ჩაერია!



ცსს-ს ყოფილმა დირექტორმა ჯონ ბრენანმა განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერია.

– ეს დღესავით ნათელია, – ამბობს ბრენანი.

მან ხაზი გაუსვა, რომ მისმა თანამშრომლებმა ინფორმაცია დროულად მოიპოვეს. ამის შემდეგ ბრენანი რუსულ ფსბ-ს დირექტორ ბორტნიკოვს დაუკავშირდა.

– მას პირდაპირ განვუცხადე, არჩევნებში ჩარევა შეწყვიტეთ-მეთქი, – თქვა ბრენანმა.

ცსს-ს ყოფილმა შეფმა აღნიშნა, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა თავიანთი ამოცანა შეასრულეს. ამის შემდეგ აუცილებელი იყო პოლიტიკური ნება, რათა რუსების საქმიანობა აღეკვეთათ. სამწუხაროდ, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაქ ობამა ამაზე არ წავიდა.

– შედეგად მოხდა ის, რაც მოხდა, – აცხადებს ცსს-ს ყოფილი დირექტორი.

ფილიპინების პრეზიდენტმა მოსკოვში ვიზიტი შეწყვიტა

ფილიპენების პრეზიდენტმა მოსკოვში ვიზიტი შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა. მიზეზი ფილიპინებზე მკვეთრად გართულებული მდგომარეობაა.

ანდანოს პროვინციაში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები გააქტიურდნენ. ისინი თავს ესხმიან სამხედროებს, სახელმწიფო დაწესებულებებს. შეტაკებებისას მოკლულია ფილიპინების უშიშროების 3 თანამშრომელი.

– პუტინისა და დუტერტეს შეხვედრა მოგვიანებით გაიმართება, – განუცხადა ჟურნალისტებს პუტინის თანაშემწე პესკოვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ძველმანებში ნაყიდი ბეჭედი ბრილიანტის აღმოჩნდა

სოტბის აუქციონზე გასაყიდად გამოიტანენ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს, რომლის წონა 26,27 კარატს შეადგენს და რომელიც 10 ფუნტ სტერლინგად იყო შეძენილი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის აუქციონზე 350 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდება.

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელსაც ეკუთვნის ძვირფასი ქვა, ბეჭედი ლონდონში ძველმანების ბაზრობაზე დაახლოებით 30 წლის წინ შეიძინა. მან არ იცოდა, რომ ის ნამდვილი ბრილიანტი იყო, ვინაიდან XIX საუკუნის სტილში დამუშავების გამო მისი ბრწყინვალება დაფარული იყო.

ქალმა სოტბის მას შემდეგ მიმართა, როდესაც იუველირისგან შეიტყო, რომ ის ძვირფასი ქვის მფლობელი იყო. ამერიკის ჰემოლოგიურ ინსტიტუტში ბრილიანტის ნამდვილობა დაადასტურეს. მას აუქციონზე გასაყიდად 7 ივნისს გამოიტანენ.

ტაილანდის ხელისუფლება გასუქებულ მაიმუნს გახდომას აიძულებს

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში დაიჭირეს და დიეტაზე დასვეს გარეული მაიმუნი მაკაკა, რომელიც იმის გამო გასუქდა უზომოდ, რომ მას ტურისტები კვებავდნენ.

ტაილანდის ეროვნული პარკებისა და ბუნების დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ

სანამ ცხოველი არ გახდება, მას მხოლოდ მწვანე ბოსტნეულით და ხილით გამოკვებავენ, რომელთაც შაქრის დაბალი შემცველობა ექნება, ასევე ისეთ ცილოვან პროდუქტებს, რომლებსაც ცხიმის დაბალი შემცველობა ექნება. მაიმუნს დღეში 400 გრამამდე საკვებს მისცემენ. ასევე მას აიძულებენ, მეტი იმოძრაოს.

ამჟამად მაკაკა დაახლოებით 26 კილოგრამს იწონის, ნორმაზე სამჯერ მეტს. მსუქანი მაკაკა ჯოგის მეთაური აღმოჩნდა. მასთან საკვები სხვა მაიმუნებს მოჰქონდათ, რომელთა ნაწილს ის ახალგაზრდა თანამოძმეებს უნაწილებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



კალიფორნიის სანაპიროსთან ყურეში ვეშაპი გაიჭედა

სამხრეთ კალიფორნიაში კუზიანი ვეშაპი ქალაქ ვენტურას ყურეში შეცურდა და ოკეანეში დაბრუნება ვეღარ მოახერხა. ამის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა გამოაქვეყნა.

12 მეტრი სიგრძის ვეშაპი ყურეში ადგილობრივი სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს. ისინი მოხალისეებთან ერთად უშედეგოდ ცდილობდნენ, ცხოველი ისევ ოკეანეში გაეყვანათ. საბოლოოდ ვეშაპმა პორტიდან თავის დაღწევა 21 მაისს დილით მოახერხა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ტორპედომ დილა დაამარცხა, ლოკომოტივი კრიზისშია

დილა-ტორპედო 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 კაპანაძე (8), 0:2 დოლიძე (71)

დილა: ხაინდრავა, მაჩაიძე (ფოფხაძე 35), ეტოუ, რიბეირო, წიქარიძე, ნონიკაშვილი (ნუბიო 46), ქარქუზაშვილი, კირკიტაძე (ტარავალიე 61), კვახაძე, ძარია, დერეტი

ტორპედო: კვასხვაძე, ჭიჭინაძე, ხურცილავა, ბაბუნაშვილი (მამასახლისი 76), ქიმაძე, კუხიანიძე, გ.გურული, დოლიძე (ტაბატაძე 83), გიგაური, ტუღუში, კაპანაძე (კუჭუხიძე 80)

ტორპედომ ეროვნულ ლიგაში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა, მეორე წრისთვის საგრძნობლად მოღონიერებული დილა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჩაგრა და ეს ფაქტი ნამატჩევს გორელთა ებრაელმა დამრიგებელმა ზივ არიემაც აღიარა.

ქუთაისელები მე-8 წუთზე დაწინაურდნენ: გრიგოლ დოლიძემ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა მეტოქის საჯარიმოში და თორნიკე კაპანაძემ კიდევ ერთი თავისი ლამაზი გოლი გაიტანა – ვარდნაში ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის ახლო კუთხეში.

21-ე წუთზე დოლიძის მორიგი პასის შემდეგ დილას საჯარიმოშო, გორელ მცველს მოგერიებისას ბურთი აეჭრა, კაპანაძემ უმალ დაარტყა კარისკენ, მაგრამ ტარიელ ხაინდრავამ შეძლო ბურთის კუთხურზე გადაგდება.

გორელებმა პირველი მეტნაკლებად სახიფათო შეტევა 30-ე წუთზე განახორციელეს – დათო კირკიტაძის ჩაწოდებულის შემდეგ ლევან ნონიკაშვილმა არაზუსტი დაარტყა.

ამ ეპიზოდს ტორპედოელებმა უმალ საპასუხო იერიში მიაყოლეს, დოლიძე ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული მეკარემ უკუაგდო. შესვენებამდე დოლიძე ერთხელაც გავიდა დასარტყმელ პოზიციაძე, მაგრამ კარს ააცილა.

ქუთაისელთა უპირატესობა მე-2 ტაიმშიც შესამჩნევი იყო. ისინი დიდი ძალებით, ორგანიზებულად უტევდნენ მეტოქეს. მარტო საწყის წუთებში გორელები ორჯერ დოლიძის და ერთხელაც კაპანაძის დარტყმებს გადაურჩნენ. მერე იყო და ბექა ტუღუშმა მარცხნიდან სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, კაპანაძე კართან ახლო მიწვდა ბურთს და ვარდნაში დაარტყა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. 70-ე წუთზე თორნიკეს მალევე გატანის მორიგი შანსი მიეცა – შოთა ბაბუნაშვილის კუთხურის შემდეგ მან ისევ ეფექტური „მაკრატელა“ შეასრულა, თუმცა ამჯერად ხაინდრავამ იყოჩაღა. ტორპედოელებმა ისევ მოიპოვეს სტანდარტულის უფლება და... დოლიძემ, რომელიც სანაქებოდ ირჯებოდა ამ მატჩში, უშუალოდ კუთხურიდან ოსტატურად ჩაახვია ბურთი მისგან შორეულ კარის მაღალ კუთხეში – 0:2.

გორელთა მხრიდან ვითარების გამოსწორების ბევრი მცდელობის მიუხედავად, ტორპედოელებმა დინჯად

შეინარჩუნეს მოპოვებული უპირატესობა და სატურნირო ცხრილში მე-2 პოზიცია განიმტკიცეს.

ლოკომოტივი-კოლხეთი 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 ქავთარაძე (49), 1:1 კერძევაძე (54), 1:2 კოვტალიუკი (59)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, ქავთარაძე, დიასამიძე, კიკნაძე (ლონღაძე 66), გაბაძე, რეხვიაშვილი (ხიდეშელი 73), უბილავა, სამურკასოვი (არველაძე 61), არდაზიშვილი

კოლხეთი: სიკაჩი, გ.კილასონია, კერძევაძე, კაკულია (ოტიენუ 46), დაფე (კვარაცხელია 79), ჯანელიძე, კოვტალიუკი, კორობკა (ბუხაიძე 77), ენდელაძე, ბოლქვაძე, ვ.კილასონია

თბილისის ლოკომოტივი „მიხეილ მესხის“ სათადარიგო მოედანზე 1:2 დამარცხდა ფოთის კოლხეთთან. უნდა ითქვას რომ, ერთ დროს ლიდერმა გიორგი დევდარიანის გუნდმა ზედიზედ მე-4 მატჩი დათმო, მხოლოდ 2 გოლი გაიტანა. აშკარაა ლოკომოტივის კრიზისი დაეწყო, არადა სეზონის სტარტზე ყველაზე გამორჩეული სწორედ დევდარიანის გუნდი იყო.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ლოკომოტივმა ნოდარ ქავთარაძის გოლით ანგარიში გახსნა, თუმცა შემდგომ სტუმრებმა 2 გოლის გატანა მოახერხეს. ორივე შემთხვევაში დაცვის ხაზი ჩავარდა, პირველი გაშვებული გოლისას საკუთარ საჯარიმოში შოთა კერძევაძე უმეთვალყურეოდ დატოვეს, შემდეგ კი დაფეს პასი ვერ ჩაჭრეს და კოვტალიუკს დარტყმის საშუალება მისცეს.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ლოკომოტივს არ გაუმართლა, რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კოლხეთმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა – ისეთი, როგორც ჩემპიონატის საწყის 4 ტურში. შემდეგ კოლხებსაც ჩავარდნა ჰქონდათ.

საატჩნიოო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	13	10	1	2	26-7	31
2.ტორპედო	14	8	4	2	20-9	28
3.სამტრედია	13	7	2	4	16-13	23
4.ლოკომოტივი	14	6	3	5	27-17	21
5.საბურთალო	13	6	1	6	16-14	19
6.დილა	14	4	6	4	15-15	18
7.ჩიხურა	13	5	2	6	16-18	17
8.კოლხეთი	14	4	2	8	15-25	14
9.დინამო (ბთ)	13	4	1	8	10-16	13
10.შუქურა	13	0	4	9	6-33	4

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე – 11 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი), ბაჩანა არაბული (დინამო თბ), მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) 8-8; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 6.

შენგელია რეალში გადადის, შერმადინი ესპანეთში სამეულში მოხვდა

საკალათბურთო ლეგიონის ამბები

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე შენგელია მადრიდის რეალში გადასვლასთან ძალიან ახლოსაა. გავრცელებული ინფორმაციით, მხარეებს წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეული აქვთ, სეზონის ბოლოს კი ორწლიან კონტრაქტს გააფორმებენ.

ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში გადასვლა სერიოზული შეთავაზებაა. არსებული ინფორმაციით, შენგელიამ მადრიდულ კლუბში არგენტინელი ანდრეს ნოჩიონი უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც კარიერის დასრულებას აპირებს.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თოკოს კონკურენტები ამერიკელები ენტონი რენდოლფი და ოტელო ჰანტერი, მექსიკელი გუსტავო აიონი და ესპანელი ვეტერანი ფელიპე რეიესი იქნებიან.

მიმდინარე სეზონში 25 წლის ქართველი ფორვარდი ესპანურივე ბასკონია ღირსებას იცავს და გრან კანარიასთან მეოთხედფინალური სერიის პირველი მატჩი უკვე მოიგო.

ქართველი კალათბურთელი გიორგი შერმადინი კი ესპანეთის ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში მე-3 ადგილზე გავიდა. ჩვენებური გამოკითხვაში მხოლოდ ესპანელ სერხიო ლულსა და ამერიკელ ედვინ ჯეკსონს ჩამორჩა.

მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა გიოს მე-2 პოზიცია მიაკუთვნეს, ქომაგებსა და მასმედიაში კი, ქართველს ნაკლები დაფასება ერგო. საბოლოოდ, შერმადინმა 35 ქულა მიიღო, ჯეკსონს 45 ქულა მოუგროვდა, საუკეთესოდ კი ლული აღიარეს, რომელსაც მაქსიმალური 100 ქულა მიაკუთვნეს.

მცირე ხნის წინ ქართველი ცენტრი ესპანური ლიგის სიმბოლურ ხუთეულში მოხვდა.

დინამო ჩემპიონობას მიუახლოვდა, რუსთავს ბრინჯაო ერგო

დინამო-ქუთაისი 88:65

(23:13, 24:14, 22:16, 19:22)

ბრძოლაში დაწყებული სუპერლიგის ფინალური სერიის მე-2 მატჩი ნაკლებად საინტერესო გამოდგა. თბილისის დინამომ ზედმეტი გართულების გარეშე, 23 ქულის სხვაობით დაამარცხა ქუთაისი და სერიაში 2:0 დაწინაურდა.

პირველ მატჩში დინამოელებს შორი სროლები არ წაუვიდათ და თავიდან დაცვაში თამაშიც უჭირდათ, თუმცა შეხვედრა მაინც მოიგეს. მე-2 მატჩში კი ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილ გუნდს თავიდანვე ყველაფერი გამოუვიდა და სოლიდურ უპირატესობას რომ დაეპატრონა, მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია. მასპინძლები ერთნაირი წარმატებით ირჯებოდნენ როგორც ფარქვეშ, ისე – პერიმეტრიდან. დეონტა ვონი, რომელსაც პირველ თამაში არ წაუვიდა, ამჯერად შეუდარებელი იყო. დინამოელთა ამერიკელი ლეგიონერი ძირითადად შორი სროლებით გამოირჩა, თუმცა ბურთის გათამაშებასაც ჩინებულად ართმევდა თავს და თავისიან მეფარეებს პასებით უხვად ამარაგებდა. ამას ერთვოდა დაცვაში საიმედო თამაშიც და თბილისელებმა პირველი პერიოდი 23:13 მოიგეს.

დინამოელებს გაუმართლათ სამარქაფოებმაც, რომელთაგან ლევან გრძელიძე გამოირჩა. ახალგაზრდა დინამოელმა მეორე პერიოდში 3-დან 3 სამქულიანი ჩააგდო და მასპინძლების კიდევ უფრო დაწინაურებას ხელი შეუწყო. მეორე მეოთხედში დინამოელთა უპირატესობამ 25 ქულას გადააჭარბა, რის შემდეგაც ქუთაისელთა შანსები მინიმუმამდე შემცირდა.

მეორე ტაიმში ქუთაისელები ეცადნენ, მაგრამ მაქსიმუმი, რაც მოახერხეს, ჩამორჩენის 16 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ დინამომ 88:65 გაიმარჯვა და ჩემპიონობას 1 მოგება აშორებს.

მასპინძლებს 25 ქულით დეონტა ვონმა ულიდერა. 19 ქულით და 8 მოხსნით დაასრულა შეხვედრა ილია ლონდარიძემ, ლევან გრძელიძის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა. ქუთაისელთაგან 18 ქულით, 9 პასით და 8 მოხსნით გიორგი ცინცაძე გამოირჩა. 16 ქულა და 8 მოხსნა ბექა ბექაურმა მიითვალა.

სერიის მომდევნო მატჩი ქუთაისში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში, თბილისელები ჩემპიონები გახდებიან. ქუთაისელთა მოგების შემთხვევაში კი სერიის მე-4 შეხვედრა კვლავ ქუთაისში ჩატარდება.

ჩემი გუნდი ვერ ვნახე. იმედი მაქვს, რომ ქუთაისის სპორტის სასახლეში ვიხილავ.

კაკტუსი-რუსთავი 85:93

(20:20, 25:19, 21:26, 19:28)

სუპერლიგის ბრინჯაოს მედლების მფლობელი საკალათბურთო კლუბი რუსთავი გახდა. რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილმა ქვემოქართლურმა გუნდმა მესამე ადგილისთვის მატჩში თბილისური კაკტუსი 93:85 დაამარცხა და სუპერლიგის საპრიზო ადგილი დაიკავა.

მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, მანამდე კი შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი პერიოდი ფრედ – 20:20 დასრულდა, ხოლო მეორეში კაკტუსელებმა იძალეს და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ – 45:39.

მესამე მეოთხედში რუსთაველებმა მოახერხეს ჩამორჩნის მინიმუმამდე შემცირება, თუმცა დასკვნით ათწუთულში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა ისევ მოახერხა ხელჩასაჭიდი უპირატესობის მოპოვება და შეხვედრის დასრულებამდე 7 წუთით ადრე 73:65 დაწინაურდა.

ეს სერიოზული განაცხადი იყო გამარჯვებაზე, რასაც რუსთაველებმა მწყობრი დაცვა და შეტევაში შედეგიანი თამაში დაუპირისპირეს. შედეგმაც არ დააყოვნა და მორის ბრიგსის, ჩარლი ლის, სერგო ათუაშვილისა და რეზო ჩაჩანიძის ქულებით რუსთაველებმა 13:0 გაქცევა მოაწყვეს, 78:73 დაწინაურდნენ და მოპოვებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს.

გამარჯვებულებს 31 ქულით მორის ბრიგსმა ულიდერა. 22 ქულა მოაგროვა ჩარლი ლიმ, რეზო ჩაჩანიძის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 19 ქულითა და 13 მოხსნით ჯონ ფლოვიესი გამოირჩა, 15-15 ქულა კი ირაკლი ჩლაიძისა და დავით ლომიძის ანგარიშზე იყო.

მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. რუსთავის კალათბურთელები და მწვრთნელები სუპერლიგის ბრინჯაოს მედლებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, მიხეილ გაბრიჩიძემ დააჯილდოვა.

კარლ-ჰაინც რუმენიგე ჩემპიონთა ლიგის ფინალში იუვენტუსს უგულშემატკივრებს

მიუნხენის ბაიერნის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე კიდევ ერთხელ შეეხო ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩს მადრიდის რეალთან მსაჯის თემას. ფეხბურთელები, სამწვრთნელო შტაბი და მთლიანად გერმანული გრანდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო დარჩა აღნიშნულ მატჩზე გაწეული მსაჯობით და თვლიან, რომ არბიტრის სუსტი მუშაობის გამო წააგო ბავარიულმა კლუბმა ის თამაში.

კარლ-ჰაინც რუმენიგე:

– ეს მნიშვნელოვანი მატჩი იყო და მსაჯმა შეცდომები დაუშვა. შესაძლოა, საუკეთესო არბიტრით ბაიერნს მოეგო რეალისათვის, მაგრამ ახლა წინ უნდა გავიხედოთ. ვიმედოვნებ, მომავალში ჩვენს თამაშებს უფრო კვალიფიცირებული არბიტრები მოემსახურებიან.

გერმანული გრანდის ხელმძღვანელმა ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ ვის გულშემატკივრობს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რუმენიგემ უპასუხა:

– ჩემპიონთა ლიგის ფინალი? მე არ ვმალავ, რომ სიმპათიებით „იუვენტუსის“ მიმართ ვარ განმსჭვალული ამ დაპირისპირებაზე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

რა იწვევს საშარდე გზების ინფექციას

ეკა ირემაშვილი

საშარდე გზების ინფექცია ბავშვთა ასაკში ყველაზე ხშირი დაავადებაა. ეს არის ინფექცია საშარდე სისტემის ნებისმიერ დონეზე, ეს შეიძლება იყოს თირკმელი, შარდსადენი ან შარდის ბუშტი, რაც იწვევს ორგანიზმში ანთებით პროცესს.

რა არის საშარდე გზების ინფექცია, რა იწვევს მას და რა სიმპტომები ახასიათებს, ამ თემებზე იაშვილის კლინიკის ურონეფროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინათინ დავითაია საუბრობს.

თინათიან დავითაია:

– სანამ საშარდე გზების ინფექციებზე ვისაუბრებდე, განვიხილოთ საშარდე სისტემა, თუ რა ორგანოებით არის ის წარმოდგენილი. საშარდე სისტემა არის რთული სისტემა, რომელიც რამდენიმე ორგანოს კორდინირებული ფუნქციონირებით ასრულებს თავის საქმეს. ის წარმოდგენილია წყვილი ორგანოებით, წყვილი თირკმლით, წყვილი შარდსაწვეთით და შარდის ბუშტით. თირკმელი, ამ ორგანოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მას მრავალი ფუნქცია აკისრია. თირკმელი ფილტრავს სისხლს და ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებებს იწოვს და რიგ ნივთიერებებს გამოყოფს. მისი ფუნქციაა, ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებები და ჭარბი სითხე გამოყოს ორგანიზმიდან. ის ასევე არეგულირებს წნევას, სითხის ბალანსს, მას აქვს ჰორმონული ფუნქცია, სეკრეტორული ფუნქცია და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანი, რომ თირკმლები კარგად ფუნქციონირებდეს, რადგან მომავალში თირკმლის დაზიანებასთან ერთად ჩნდება მაღალი არტერიული წნევა, თირკმლის ფუნქციის დაქვეითება, სხვადასხვა ჰორმონული დეფიციტი. თირკმელში წარმოქმნილი შარდი წყვილი შარდსაწვეთის საშუალებით გადაადგილდება შარდის ბუშტამდე. შარდის ბუშტი წარმოადგენს კუნთოვან რეზერვუარ ორგანოს, რომელიც შეიგრძნობს სავსეობას, ეს რეგულირდება ნერვული სისტემის საშუალებით, სავსეობის შეგრძნების შემდგომ იკუმშება და ხდება შარდის გამოყოფა.

– რა არის საშარდე გზების ინფექციები?

– მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის ინფექცია საშარდე სისტემის ნებისმიერ დონეზე, ეს შეიძლება იყოს თირკმელი, შარდსადენი ან შარდის ბუშტი. ეს იწვევს ორგანიზმში ანთებით პროცესს. თუ უფრო სამედიცინო ენით ავხსნით მას, ექიმები საშარდე გზების ინფექციაზე ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც შარდში გვაქვს დიდი რაოდენობით ლეიკოციტები და შარდის ნათესით ჩვენ გვაქვს ამოთესილი მიკრობი, რომელიც გვიდასტურებს ამ ინფექციას.

– რამდენად ხშირია ეს ინფექცია ბავშვებში?

– საშარდე გზების ინფექცია ბავშვთა ასაკში არის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი უპირატესად ბაქტერიული ინფექცია და ითვლება, რომ პირველი ინფექციის გადატანიდან 6-12 თვის განმავლობაში ჩვილების და ბავშვების 30 პროცენტს აქვს განმეორებითი შემთხვევები. ითვლება, რომ საშარდე სისტემის განვითარების სხვადასხვა ანომალიების პირველი კლინიკური გამოვლინება სწორედ საშარდე გზების ინფექციაა. თუ შევხედავთ, როგორი გავრცელება აქვს პოპულაციაში საშარდზე გზების ინფექციას, მისი სიხშირე დაახლოებით 7 პროცენტია, თუმცა ის მერყეობს ბავშვის ასაკის, რასის, სქესის ეთნიკური კუთვნილების და რიგი ანატომიური თავისებურებებიდან გამომდინარე. ითვლება, რომ თეთრკანიანებში უფრო ხშირია, თუ არ ჩავთვლით ახალშობილობის ასაკს, ყოველთვის გოგონაში საშარდე გზების ინფექცია უფრო ხშირია, ვიდრე ვაჟებში. ითვლება, რომ მაღალი ცხელებით თეთრკანიან გოგონას რომ აღენიშნებოდეს საშარდე გზების ინფექცია, ამის ალბათობა 16 პროცენტი და მეტია.

– რა ფაქტორები მოქმედებს ბავშვებში საშარდე გზების ინფექციების განვითარებისთვის?

– არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც განაწყობს ბავშვს საშარდე გზების ინფექციის განვითარებისადმი. პირველი ეს არის ასაკი – სხვადასხვა ასკობრივ ჯგუფში საშარდე გზების ინფექციების გავრცელება არის განსხვავებული. განსაკუთრებით მაღალი სიხშირეა წლამდე ასაკში და შემდეგ იმატებს გოგონებში სქესობრივი მომწიფების ასაკში. წლამდე ასაკში სჭარბობენ ვაჟები, განსაკუთრებით 2-დან 4 თვემდე ასაკს, როცა საშარდე გზების ინფექცია უფრო ხშირია, რასაც თავისი ანატომიური ფაქტორები აქვს. ცნობილია რომ ბიჭებს წლამდე ასაკში აღენიშნებათ ე.წ. ფიზიოლოგიური ფიმოზი, მათი ჩუჩა არის ნაკლებად რეტაბელური და ინფექციის პერსისტირება ამ სისტემაში გაცილებით უფრო მარტივია. ამიტომ ხშირი ინფექციების დროს მოწოდებულია წინადაცვეთა, რომელიც ამცირებს მორეციდივე საშარდე გზების ინფექციების სიხშირეს ვაჟებში. ეს არ ნიშნავს, რომ მოგიწოდებთ ამ პროცედურის განხორციელებისკენ, სტატისტიკურად ითვლება, რომ დაახლოებით 60-110 წინადაცვეთა უნდა ჩატარდეს, რომ ერთი პაციენტი გადარჩეს საშარდე გზების ინფექციისგან, ანუ ეს არ არის რუტინულად მოწოდებული რეკომენდაცია, თუმცა თუ ვაჟს აღენიშნება ხშირი ეპიზოდები, ესეც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

თინათიან დავითაია

სხვა ასაკობრივ ჯგუფში გოგონები ყოველთვის სჭარბობენ ვაჟებს საშარდე გზების ინფექციის თვალსაზრისით და ესეც ანატომიური თავისებურებით აიხსნება, გოგონების შარდსადენი არის უფრო მოკლე და ფართე, ამიტომ ინფექციის გავრცელება აქ გაცილებით უფრო მარტივია.

– როგორ შეიძლება საშარდე გზების ინფექციების კლასიფიცირება?

– ყველაზე მარტივი კლასიფიკაციაა ინფექციის ლოკალიზაციის მიხედვით. საშარდე სისტემა შედგება ზედა ნაწილისგან, ანუ თირკმელებისგან, და ქვედა საშარდე ტრაქტისგან, ანუ შარდის ბუშტისა და შარდსადენისაგან.

თუ ჩვენ გვაქვს ინფექციური ანთებითი პროცესი თირკმელში მას უკვე ზედა საშარდე გზების ინფექცია ანუ პიელონეფრიტი ეწოდება, თუ ინფექცია მოიცავს თირკმლის პარენქიმას, მაშინ ჩვენ ვსაუბრობთ პილონეფრიტზე, თუ მხოლოდ მენჯ-ფილოვანი სისტემაა დაინტერესებული, მაშინ ჩვენ ვსაუბრობთ პიელიტზე.

თუ გვაქვს ქვედა საშარდე გზების ინფექცია, ეს შეიძლება იყოს ან შარდის ბუშტის ანთება, რასაც ცისტიტი ეწოდება, ან შარდსადენის ანთება, რასაც ურეთრიტი ეწოდება.

აღნიშნული პათოლოგიები ვლინდება განსხვავებული კლინიკური ნიშნებით და მათი მართვაც და პროგნოზიც აბსოლუტურად განსხვავებულია.

თუ ვისაუბრებთ ცისტიტზე და რისკფაქტორებზე, გოგონებში ცისტიტი ყველაზე მეტად არის გავრცელებული და მდედრობითი სქესი არის რისკი ცისტიტის განვითარებისთვის, რისკ ფაქტორებს მიეკუთვნება ვაგინალური ინფექციები სქესობრივი მომწიფების ასაკში სქესობრივი აქტივობა, რიგ შემთხვევებში სიმსუქნე, დიაბეტი.

თუ დავყოფთ საშარდე გზების ინფექციას მიმდინარეობის მიხედვით, შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ერთჯერადი ეპიზოდი, რაც უმეტეს შემთხვევაში გვაქვს, ან შეიძლება გვქონდეს განმეორებითი ეპიზოდები საშარდე გზების ინფექციის. მაგრამ განმეორებითი ეპიზოდები შეიძლება განსხვავებულად მიმდინარეობდეს და მათი დაყოფა ხდება შემდეგნაირად: ე.წ. დაუსრულებელი ინფექცია, ანუ იგულისხმება რომ არაადეკვატური, არასრულყოფილი მკურნალობაა ჩატარებული, რის გამოც ინფექცია პერსისტირებს.

– როგორ დასტურდება ეს?

– საშარდე გზების ინფექციის დიაგნოზი ისმება შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევით. თუ ჩვენ ინიციალურად გვაქვს დადასტურებული ბაქტერიული ინფექცია და დინამიკაშიც შარდის ბაქტერიოლოგიური კვლევის პასუხი მუდმივად გვაქვს დადებითი, მაშინ ჩვენ ვსაუბრობთ დაუსრულებელ ინფექციაზე.

ჩვენ ვსაუბრობთ პერსისტულ ინფექციაზე იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი წარმატებული მკურნალობის შემდეგ კულტურა არის ნეგატიური, ხოლო დინამიკაში კვლავ ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგად იგივე პათოგენის ამოთესვა ხდება.

რეინფექციაზე კი ვსაუბრობთ მაშინ, როდესაც ჩატარდა სრულფასოვანი მკურნალობა, დინამიკაში განმეორდა ბაქტერიოლოგიური კვლევა, რომლის პასუხი ნეგატიურია, მაგრამ კვლავ ხდება ინფიცირება უკვე განსხვავებული პათოგენით.

– რა სიმპტომები აქვს საშარდე გზების ინფექციას?

– საშარდე გზების ინფექცია არის სიმპტომური და კლინიკური გამოვლინებები აქვს. პიელონეფრიტის შემთხვევაში ეს არის მაღალი ცხელება, ტკივილი მუცლისა და წელის არეში, ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნები, ზოგ შემთხვევაში ძლიერი შემცივნება, ზოგადი სისუსტე, გულისრევა, ღებინება.

რაც შეეხება ცისტიტს, ამ დროს არის ლოკალური, ადგილობრივი შარდის ბუშტის ე.წ. გაღიზიანების ანთებითი ცვლილებებით გამოწვეული კლინიკური ნიშნები, როგორიც არის წვა და ტკივილი მოშარდვის დროს.

კალეიდოსკოპი

იტალიელებმა კატის გამო იჩხუბეს

ჩვეულებრივი კატა გახდა ორ იტალიელს შორის, რომლებიც ჩრდილოეთ იტალიის ლიგურიის ოლქის მაცხოვრებლები არიან, სასამართლო განხილვის საგანი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოთხი წლის შინაური ცხოველი ერთ-ერთთან ცხოვრობდა, მაგრამ ორი წლის მანძილზე ღამეს მის მეზობელთან ათევდა. ამასთან მეზობელი ქალები მას სხვადასხვა სახელს ბანტიკს და ტეკილას ეძახდნენ.

ერთ-ერთმა მეზობელმა ქურდობის შესახებ განცხადებით მიმართა სამართალდამცავებს, როდესაც მისი მეზობელი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად და კატაც თან წაიყვანა. პროკურორის გადაწყვეტილებით, კარაბინერებმა ცხოველი ახალ პატრონს ჩამოართვეს და ძველ სახლში დააბრუნეს. მეორე ქალმა ამის შემდეგ აპელაციით ზემდგომ ინსტანციას მიმართა.

– იმის მტკიცებულება, რომ კატა, რომელსაც მიკროჩიპი არ აქვს ჩადგმული, მოიპარეს, არ არსებობს. ასევე არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ცხოველი პირველ ქალბატონს ეკუთვნის, გარდა სამედიცინო წიგნაკისა. ამიტომ კატა დაუბრუნეს ქალბატონს, რომელსაც კატის მოპარვა ბრალდებოდა, – წერს ადგილობრივი გამოცემა.

გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ ქალები შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ და, როგორც ჩანს, საქმე შესაძლოა სამოქალაქო საქმეების სასამართლოს გადაეცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
25 მაისისათვის

ვერძი – სახლშიც და სამსახურშიც არასტაბილური სიტუაციაა. ნუ დაიძაბებით და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. **კურო** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. წარმატება გელით ნებისმიერ სფეროში. **ტყუპები** – გარშემომყოფებისგან მხარდაჭერასა და თანადგომას იღებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – საქმიანი კონტაქტებისათვის იღბლიანი პერიოდია. ეცადეთ, დაშვებული შეცდომა დაუყოვნებლივ გამოასწოროთ. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში გარეშე პირებს ნუ ჩარევთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **ქალწული** – ადამიანები, რომლებსაც ენდობოდით და მოკავშირეებად მიიჩნევდით, მახეს გიგებენ. ნუ იქნებით მეტისმეტად მიამიტი. **სასწორი** – ახლობლები გვერდში გიდგანან და პრობლემების მოგვარებაში გეხმარებიან. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **ღრიანკალი** – დაწყებული საქმე დიდ ძალისხმევასა და პროფესიულ ცოდნას მოითხოვს. ემოციები აკონტროლეთ. **მშვილდოსანი** – მიენდეთ ინტუიციას. სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებას ერიდეთ. **თხის რქა** – თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია ძალიან დაიძაბება. ნუ გარისკავთ. **მერწყული** – ადრე დაწყებული საქმე დაამთავრეთ, თორემ იღბალი ზურგს გაქცევთ. ინტიმურ სფეროში გიმართლებთ.**თევზები** – კრიტიკული დღეა. ნებისყოფა მოიკრიბეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.; 3. დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი როკ-ჯგუფში; 4. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 5. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 7. ბრტყელი თევზი, რომელსაც თვალები მხოლოდ ერთ მხარეს აქვს; 11. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია დედოფლის რეზიდენცია და სამთავრობო დაწესებულებები; 12. არწივის ბარტყი; 13. გამოჩენილ ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 14. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 15. თამაში-გამოცანა; 17. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 19. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 5. პიესების „სევილიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ ავტორი; 6. თანამედროვე ქართველი პოეტი; 8. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 9. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 10. კურორტი ხაშურის რაიონში; 11. ქორწინებისა და ერთგული ცოლების მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. საკომუნიკაციო საშუალებათა – გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს საერთო სახელწოდება; 14. ჩეხეთის დედაქალაქი; 16. წინაპართა დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა; 18. საფრანგეთის ყველაზე დიდი მდინარე; 20. ძირმაგარა ანუ ...; 21. ექსპონატის, ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კოდა; 2. ასთმა; 3. აკაჟუ; 4. პანჩი; 5. კორომი; 6. სალონიკი; 8. კრონპრინცი; 10. სანგვინიკი; 11. ტარანტული; 14. ეგზემა; 15. მატანი; 16. გოგრა.

თარაზულად: 1. კატანია; 4. პეკინესი; 7. დენთი; 9. პულსი; 12. ვირუსი; 13. ჭონია; 14. ემბაზი; 17. პიკეტი; 18. სფიგმოგრამა; 19. დიზაინი; 20 ბაგები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ანგოლა; 2. გლორია; 3. ლეპტოპი; 4. მირკანი; 5. ფსირცხა; 7. ბუნგალო; 11. პროზა; 12. ხენდრო; 13. კალორია; 14. კასკადი; 15. გინესი; 17. აფექტი; 19. ვაგა.

თარაზულად: 5. ფრანგული; 6. კოდექსი; 8. იენა; 9. კობზა; 10. ციტატა; 11. პეჟო; 13. კომუნიკე; 14. კროლი; 16. გაუდი; 18. კროკი; 20. დაუგავა; 21. სპეტაკი.

სპორტი

იუვენტუსი სატრანსფერო ბაზარზე 125 მილიონის დახარჯვას აპირებს

იტალიური მედიისთვის ცნობილი ხდება, რომ ტურინის იუვენტუსი მოახლოებულ სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში 125 მილიონი ევროს დახარჯვას გეგმავს.

ტურინელები უახლოეს პერიოდში ოფიციალურად დაადასტურებენ პატრიკ შიკის ტრანსფერს. როგორც ჩანს, ფეხბურთელის სურვილმა, რომელიც პაველ ნედვედის აქტიურმა

ჩართულობამ გამოიწვია, თავისი მაინც გაიტანა. არადა, მისით არაერთი ბობოლა გრანდი ინტერესდებოდა და უფრო სარფიან წინადადებებსაც სთავაზობდნენ.

პირადი კონტრაქტის დეტალები შეთანხმებულია კეიტა ბალდესთან. რომის ლაციოს შემტევი ტურინში გადმოსვლის შემთხვევაში წლიურად 2.5 მილიონ ევროს მიიღებს. ახლა ჯერი კლუბებზეა, თუმცა აქ სიტუაცია საინტერესოდ არის. ბალდეს კიდევ ერთი სეზონი ეკუთვნის ლაციოში, მაგრამ გახანგრძლივებას არც კი ფიქრობს. თუ რომაელებს გარკვეული თანხის აღება მაინც სურთ, მაშინ ტურინელთა წინადადებაზე დათანხმება მოუწევთ.

მაროტა მზად არის 25 მილიონი გაიღოს დუგლას კოშტას გასაფორმებლად. ბაიერნი კი ანჩელოტის გადაწყვეტილების მოლოდინშია. იმ შემთხვევაში თუკი ბავარიული კლუბი ტრანსფერს ვეტოს დაადებს, მაშინ მაროტა კოშტას თანაგუნდელზე – რენატო სანჩესზე დაიწყებს საუბარს. როგორც ხედავთ, იტალიელი მენეჯერი ერთბაშად მიუნხენელთა 2 მოთამაშეზე ახორციელებს დაკვირვებას.

მატეა დე შილიოს საგაც ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება. მოსალოდნელია, რომ მაროტა შიკის ტრანსფერს ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ დაადასტურებს.

რიოს ოლიმპიურ მედლებს ჟანგი მოეკიდა

2016 წლის ოლიმპიური თამაშების 100-ზე მეტმა პრიზიორმა რიოში მოპოვებული მედალი დაუბრუნა საორგანიზაციო კომიტეტს იმის გამო, რომ ამ მედლებს ჟანგი მოეკიდა და შავი ლაქები გაუჩნდა.

– ძირითადი პრობლემა ის არის, რომ

მედლებს ცივ ადგილას ინახავდნენ, რამაც დაზიანა ლითონის ლაკის საფარი და ამ ადგილებში გაჩნდა ჟანგი. ათიდან რვა შემთხვევაში სწორედ ეს გახდა პრობლემის მიზეზი, – განაცხადა რიო-2016-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა მარიო ანდრადამ.

ბრაზილიის მონეტების სახლი აღმოფხვრის აღმოჩენილ დეფექტებს და ამის შემდეგ მედლებს, რომელთა უმრავლესობა ბრინჯაოსია, მფლობელებს დაუბრუნებს.

ამ ოლიმპიური თამაშებისთვის სულ დამზადდა 3 სინჯის 2.488 მედალი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების შემცველობაში 30 პროცენტი გადამუშავებული ლითონია.

რიოს ქართველ ოლიმპიურ პრიზიორებს მედლებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის არ მიუმართავთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

მომღერალი ნანი ბრეგვაძე ყველა თაობის მსმენელში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს.

მომღერალი, რომლის სახელთანაც ქართული ესტრადის ყველაზე წარმატებული ეტაპებია დაკავშირებული, დღესაც არაჩვეულებრივ ფორმაშია და მიუხედავად იმისა, რომ განაცხადა, 80 წლის ასაკში სცენას თავს დავანებებ და ჩემს ერთგულ მაყურებელსაც დავემშვიდობებიო, ამ პირობის განხორციელება ჯერ ვერ შეძლო.

ნანი ბრეგვაძე დიდუბის რაიონის გამგეობამ დიდუბე პლაზაში სპეციალურად მისთვის მოწყობილ შემოქმედებით საღამოზე მიიწვია. მომღერლის რეპერტუარი ახალგაზრდა თაობის მომღერლებმა – სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს.

სპეციალურად საქართველოს სახალხო არტისტისთვის დაგეგმილ ღონისძიებას ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, მომღერლის მეგობრები, დიდუბის რაიონის გამგებელი და დიღმის მაჟორიტარი დეპუტატები ესწრებოდნენ. ანსამბლ „ორერას“ წევრმა გენო ნადირაშვილმა, კომპოზიტორებმა ნუნუ გაბუნიამ, ვაჟა აზარაშვილმა, მომღერალმა ეკა მამალაძემ მომღერლის შესახებ საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს. კონცერტზე ნანი ბრეგვაძემ და ეკა მამალაძემაც იმღერეს.

ნანი ბრეგვაძეს საღამოს ორგანიზატორებმა სპეციალურად მისთვის დამზადებული სუვენირი და სიყვარულის სიგელი გადასცეს.



ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელი რეგიონებში აღინიშნება

2017 წელი მწერლისა და პოეტის, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელია. მისი დაბადებიდან 180, ხოლო მკვლელობიდან 110 წელი სრულდება.

შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ საქართველოს რეგიონების მასშტაბით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წელს პროექტით „ილია ჭავჭავაძე 180 – უკვდავების ფენომენი“.

პროექტი აერთიანებს ილია ჭავჭავაძის თემაზე თანამედროვე ფერმწერთა, სკულპტორთა ნამუშევრების გამოფენასა და სპექტაკლის „საუკუნის მკვლელობა“ წარმოდგენას.

საიუბილეო ღონისძიებები აპრილში დაიწყო და უკვე განხორციელდა ქუთაისსა და ბათუმში, ახალციხის, გარდაბნის, მარნეულის, გურჯაანისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში.

პროექტის მომდევნო ორი აქტივობა დამატებითი სიმბოლური მუხტის მატარებელი იქნება და იგი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წლის აღნიშვნის გარდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის კვირეულში იქნება გაერთიანებული.

ამჯერად გამოფენა და სპექტაკლი წარმოდგენილი იქნება ქალაქ ბოლნისში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიცირებული „საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფესტივალის“ ფარგლებში.

თავად დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს კი, პროექტი განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სადაც გაცოცხლდება სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი და ამასვე შეწირული ილია ჭავჭავაძის დრამა და მისი თანამედროვე ეპოქის ტრაგიკული პერიპეტიები.

პროექტის სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ღონისძიებებზე დასწრება თავისუფალი იქნება.

6 იგავი ბიბლიიდან თეატრის სცენაზე გაცოცხლდება

„ევანგელიონ“ – ასე ეწოდება ახალ სპექტაკლს, რომელიც თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე განხორციელდება.

ეს არის თანამედროვე, თავისუფალ, მოდერნისტულ საცეკვაო ხერხში გადმოცემული ამბავი, რომლის პრემიერაც მოზარდ მაყურებელთა თეატრში 3 ივნისს გაიმართება.

ქორეოდრამის დრამატურგიული საფუძველი, რომელსაც დამდგმელმა ჯგუფმა მოკიდა ხელი, გაბედული და მოულოდნელია – ეს არის 6 იგავი ბიბლიიდან და სახარებიდან.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები მხოლოდ ცეკვის საშუალებით უამბობენ მაყურებელს იოანე ნათლისმცემლის, უძღები შვილის, მარიამ მაგდალელის, სალომესა და იუდას იგავებს, რასაც აგვირგვინებს ქებათა-ქების პირველი ლექსი.

ქორეოდრამის იდეის ავტორი, ქორეოგრაფი, რეჟისორი და მხატვარი გია მარღანიაა, ადაპტირებული ტექსტის ავტორი – დოდო ხურცილავა, მხატვარ-შემსრულებელი – მარიამ ჭელიძე, მუსიკალური გამფორმებელი კი ზურაბ გაგლოშვილია.

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები ნინო ლეჟავა – მარიამ მადალელი და სალომე, ვანო დუგლაძე – იოანე ნათლისმცემელი და მამა, ნიკა ნანიტაშვილი – იუდა და უძღები შვილი...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი
25 მაისი

07.00 დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "დღე მუზეუმში" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.15** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.15** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ჯელვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** ზაფხულის ღამის კონცერტი **00.00** მხ/ფ "**უბიწოების ხანა**" (მ.ფაიფერი)

08.00 დოკ/ფ "ზეთი სიამაყე" **09.00** დოკ/ფ "ინკების მარილი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დოკ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" **11.10** დოკ/ფ "მსოფლიო ქალაქები" - "ფლორენცია" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ჟურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვებრინე**" **14.00** დოკ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ევროპა XX დამალული ეპიდემია" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კაბერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პაპარაბალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება** **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯავჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**მოწმე**" **02.00** მხ/ფ "**ქიკა**" **03.45** მხ/ფ "**ოგოგას ნილაები**"

06.00 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული ღლეები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** პროფილი

08.00 ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**უკანი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმატერია**" **19.00** სერ. "**გაბორრეტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**არაჩვეულებრივი ბერტ უანდერსტუნი**" **00.25** მხ/ფ "**საარჩევნო კამპანია**" **02.10** მხ/ფ "**პროექტი იქსი**"

06.15 ქრისტიანული სწავლება **06.40** პატერიკი-ქრისტიან ბერებთან და ძველების მტვირთველთან შეხვედრა **06.45** საუკუნის პორტრეტები "ეროსი მანჯგალაძე" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ანტონ II" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** ბავშვები მუზეუმში **15.05** ქართული ან/ფ **15.25** ტრაპეზი "კვერცხი სოკოთი" **15.35** დ/ფ "ველური ბუნება"-გრძელფეხა მოსიარულე არწივი **16.00** კონცერტი **16.25** ქრისტიანული ხელოვნება "ფრესკების ასლები" **17.20** საუფლონი "ამაღლება" **17.30** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**იავნანა**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ **21.30** საუფლონი ამაღლება-"ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა" **22.20** წმინდანები "ღირსი მამა ეკვთიმე ათონელი" **22.40** ივერიის ეკლესია "ქართული ღვთისმეტყველებითი სკოლები" **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთის ეკლესიათა მოხატულობა" **00.25** დ/ფ "ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი ბუღი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50** სერ. "**ესპრეზარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**ალემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4144
- ევრო — 2.7155
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1322
- 100 რუსული რუბლი — 4.2750

ამინდის პროგნოზი 25 მაისისთვის

18 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

25 მაისიდან

თეოდორ დრაიზერი
ამერიკული ტრაგედია
II ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

ფაბიო კაპელო: რეალს იუვენტუსზე მეტი შანსი აქვს

ლეგენდარულმა იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაზე ისაუბრა, რომელიც 3 ივნისს გაიმართება.

ერთმანეთს მადრიდის რეალი და ტურინის იუვენტუსი დაუპირისპირდებიან.

კაპელო თვლის, რომ რეალს მოგების უკეთესი შანსები აქვს, თუმცა იუვენტუსის ძლიერი დაცვის გარღვევა გაუჭირდება.

– ვფიქრობ, რეალს მოგების უკეთესი შანსი აქვს, თუმცა მათ იუვენტუსის ეშინიათ, რადგან ტურინელებს ძალიან ძლიერი დაცვის ხაზი აქვთ. წინ შესანიშნავი ფინალი გველოდება, – განაცხადა ფაბიო კაპელომ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნატო ვაჩნაძის რესტავრირებული ავტომობილი მუზეუმში გამოიფინა

ცნობილი ქართველი კინოვარსკვლავის ნატო ვაჩნაძის რესტავრირებული ავტომობილი მუზეუმში გამოიფინა.

თბილისის ავტომუზეუმში განახლებული „გაზ“ 4-ისა და „გაზ“ ემ1-ის პრეზენტაცია გაიმართა.

ავტომობილების რესტავრაციაზე 6 რესტავრატორი, დაახლოებით 2 წლის განმავლობაში მუშაობდა.

„გაზ“ 4 იყო პირველი საბჭოთა „პიკაპი“. ასეთი სულ 4 ეგზემპლარი არსებობს. „გაზ“ ემ1-ს კი მსახიობი ნატო ვაჩნაძე მართავდა.

თბილისის ავტომუზეუმი კერძო კოლექციონერის, ბიზნესმენის პირადი კოლექციის ბაზაზე შეიქმნა, რომელიც 18 წლის განმავლობაში გროვდებოდა. თბილისის ავტომუზეუმში ამ ეტაპზე საბჭოთა კავშირში XX საუკუნის დასაწყისიდან გამოშვებული 25 რარიტეტული ავტომობილი იწონებს თავს. თბილისის ავტომუზეუმი პირველია არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

სომეხმა ოქროს თევზი დაიჭირა. ჩვეულებისამებრ ოქროს თევზი ეუბნება:

– გამიშვი და სამ სურვილს აგისრულებ.

– სახლი მინდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ბანკში ჩემ ანგარიშზე სამი მილიონი ევრო და მაგარი ქალი. ეს ერთი!..

•••

შეშის მჭრელს მდინარეში ცული ჩაუვარდა. დამწუხრებული იქვე ნაპირზე ჩამოჯდა. ამ დროს ღმერთი გამოეცხადა და ეკითხება:

– რა მოგივიდა?

– მდინარეში ცული ჩამივარდა, მე კი შეშის ჭრით ვინახავ ოჯახს. ახლა რაღა მეშველება?!

ღმერთმა მდინარიდან ოქროს ცული ამოიღო და ეკითხება:

– ესაა შენი ცული?

– არა.

ამოიღო ვერცხლის ცული და ისევ ეკითხება:

– ესაა შენი ცული?

– არა.

ამოიღო ფოლადის ცული:

– ესაა შენი ცული.

– დიახ, ეგაა.

– ვხედავ, პატიოსანი კაცი ყოფილხარ. აჰა შენ სამივე ცული.

კაცმა გაიხარა და მას შემდეგ ცხოვრება აეწყო და შემოსავალი არ მოკლებია, მაგრამ ერთხელაც მეუღლესთან ერთად სეირნობის დროს მეუღლე მდინარეში ჩავარდა. შეწუხებული იქვე ნაპირზე ჩამოჯდა. ამ დროს ისევ გამოეცხადა ღმერთი და ეკითხება:

– რა დაგემართა?

– მდინარეში ცოლი ჩამივარდა.

ღმერთმა მდინარიდან ჯენიფერ ლოპესი ამოიყვანა და ეკითხება:

– ესაა შენი ცოლი?

– დიახ, ჩემი ცოლია.

– რატომ მომატყუე?

– იცი რა ღმერთო, პატარა გაუგებრობას აქვს ადგილი. მე რომ მეპასუხა, რომ ჩემი ცოლი არ არისო, მაშინ მდინარიდან კეტრინ ზეტა-ჯონსს ამოიყვანდი, მე ისევ გეტყოდი, რომ ჩემი ცოლი არ არის, მაშინ მარლა ჩემ ცოლს ამოიყვანდი, მე გიპასუხებდი, კი ჩემი ცოლიაო. შენ კი ადგებოდი და სამივეს მომცემდი, ჰოდა, აბა წარმოიდგინე, სამივესთვის როგორ უნდა მომევლო?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ბარსელონა ერნესტო ვალვერდეს 29 მაისს წარადგენს

ესპანურ პრესაში აქტიურად იწერება იმის შესახებ, რომ ბარსელონას ახალი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე იქნება, რომელიც ამჟამად ბილბაოს ატლეტიკს უდგას სათავეში. ვალვერდეს ბარსელონა ოფიციალურად 29 მაისს წარადგენს, მანამდე კი, 27 მაისს ლუის ენრიკე კატალონიურ გუნდში ბოლო შეხვედრას გამართავს ესპანეთის თასის ფინალში ალავესის წინააღმდეგ.

ვალვერდე ესპანეთში პატივისცემით სარგებლობს, თუმცა ბარსელონას დონის გუნდში მას არასოდეს უმუშავია, ამიტომ მის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვალვერდე ოფიციალურად ბარსელონას მწვრთნელი ჯერ არ გამხდარა.

მილანი ალვარო მორატაში 60 მილიონს იხდის

იტალიური მილანი მადრიდის რეალის ფორვარდ ალვარო მორატას ტრანსფერში 60 მილიონ ევროს იხდის.

მილანი მზად არის, რეალს ეს თანხა გადაუხადოს, რადგან მორატა მილანის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იქნება. რეალში ალვარო მორატას საკმაოდ მცირე სათამაშო დრო აქვს, ამიტომ არ არის გამორიცხული, მან ამის გამო სამეფო გუნდი დატოვოს და კარიერა იტალიაში გააგრძელოს, სადაც ის ერთხელ უკვე თამაშობდა იუვენტუსის შემადგენლობაში. მორატა რეალში ზაფხულში დაბრუნდა და მას შემდეგ საკმაოდ შედეგიანადაც თამაშობს, თუმცა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არ ითვლება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. აეროპორტი პარიზში; 2. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი; 3. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 4. ვერდის ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 5. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. გურული სიმღერა; 11. კუთხე საქართველოში; 14. მხარე ავსტრიაში; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი.

თარაზულად: 1. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 4. კუთხე საქართველოში; 7. ქალაქი ბელგიაში; 9. ადრიატიკის ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 12. შხამიანი გველი; 13. გალექსილი აფორიზმი; 14. საქართველოს გენერალური პროკურორი; 17. აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებისა და გულმკერდის ღრუს კედლებს; 18. ჰერმეტული სარკმელი გემზე, თვითმფრინავზე; 19. ზღვების, ტბების ფსკერზე მცხოვრები ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 20. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა